№ 86

შაბათი, 28 მაისი

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ-წვრილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 86

შაბათი, 28 მაისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მაისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

გიორგი და დიმიტრი დავითის ძენი, ელისაბედ გრიგოლის ასული და ანნა ივანეს ასული ჯმუხაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ანნა ანდრიას ასული ჯმუხაძისა

დედა პირველთა და დედამთილი მეორეთა. პანაშვიდები დანიშნულია ყოველ-დღე, საღამოს $7^1/_2$ საათზე, განსვენებულის ბინაზე, საზოგადო ქუჩაზე, საკ. სახლში **№ 7.** მიცვალებულს გამოასვენებენ შაბათს, 28 მაისს, დილის $9^1/_2$ საათზე, კალოუბნის ეკკლესიაში. დაკრძალავენ კუკიის მართლ-მადიდებელთა ეკკლესიაზე. (3—3)

გიორგი და დავით ანდრიას ძენი ლაზარაშვილნი, პელაგია ანდრიას ასული ოსეფოვისა მარიამ ანდრიას ასული ვეფხვაძისა და ეკატერინე გიორგის ასული ლაზარაშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ოთხი—დისას, ხოლო უკანასკნელი—მულის

ანნა ანდრიას ასულის ჯმუხაძისას.

პანაშვიდები დანიშნულია ყოველ-დღე, საღამოს $7^1/_2$ საათზე, განსვენებულის ბინაზე, საზოგადო ქუჩა, საკ. სახლი **№ 7.** მიცვალებულს გამოასვენებენ შაბათს, 28 მაისს, დილის $9^1/_2$ საათზე, კალოუბნის ეკკლესიაში. დაკრძალავენ კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე. (3—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ—ქალის.და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—$1^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. მ. შჩერბინინა**—$1^1/_2$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არჩანიტაკი. 11—1 [illegible] -ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშნვით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ჩ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჭაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

„უფლებაც“ ამოჩნდა...

ქვემოდ ჩვენ ვბეჭდავთ ბ-ნ არლოს წერილს, რომელიც გაზ. „მშაკი“-დან არის ამოღებული და ძველ საკამათო საგანს—ოსმალეთიდან ჩვენში სომხების გადმოსახლების საკითხს შეეხება. ეს წერილი არ არის ინტერესს მოკლებული,—მასში იხატება თავისებური „პსიხოლოგია“ ავტორისა და თვით გაზ. „მშაკი“-საც, რომელიც ამ ჟამად, როცა ახლო მეზობელთა შორის დამოკიდებულება და ურთიერთობა აწეწილი და ენებათა-ღელვით აღგზნებულია,—საჭიროდ სცნობს ამგვარ წერილების ბეჭდვას...

კიდევ კარგი, რომ ,,მშაკი'' მოწინააღმდეგის მიმართ იმოდენა სამართლიანობას მაინც იჩენდეს, რამდენიც ყოველ ორგანოს მოეთხოვება, პარტიისა და მიმართულების განურჩევლად. ყოველთვის, როცა კი ჩვენ ამ გაზეთში დაბეჭდილ წერილებს ვეხებით,—ვბეჭდავთ თვით წერილებსაც და ამგვარად ჩვენს მკითხველებს საშუალებას ვაძლევთ, ჩვენს აზრს კრიტიკით მოეპყრან და კამათის გამომწვევ წერილზე თავისი საკუთარი აზრი შეადგინონ და ყოველ შემთხვევაში ჩვენს შეხედულებას ბრმად არ დაემორჩილონ. ,,მშაკი'' კი, ეს ,,სუსტ და დევნილ'' ბურჟუაზიის მომხრე-მოსარჩლე ორგანო, არას დროს არ ჰპოვებს საჭიროდ, თავის მკითხველებს ჩვენის წერილების მთავარი აზრი მაინც სავსებით გააცნოს, რომლის წინააღმდეგაც ფილიპპიკებს ბეჭდავს. იქნება, ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ მაშინ ჩვენის „კოლლეგის“ „ეროვნულ“ გულისწყრომას საფუძველი მოაკლდებოდა და სომეხ მკითხველებზე მისი წერილების შთაბეჭდილება შემცირდებოდა...

მაგრამ „მშაკი“-ს ასეთ ჩვეულებას ჩვენ, ალბად, ვერ გავასწორებთ და სჯობს ისევ ბ-ნ არლოს წერილს მივუბრუნდეთ.

ეს „ემიგრანტი“-ავტორი არ არის კმაყოფილი, რომ ქართულმა პრესსამ ბ-ნ ქალანთარს წინადადება არ მოუწონა და სოხუმის ოლქში ოსმალეთის სომხების დასახლებას მხარი არ დაუჭირა. თავის დროზე ამის გამო უკმაყოფილება გამოაცხადა „მშაკი“-ს რედაქტორმაც, მაგრამ იგი მაშინ დასახლებას უარჰყოფდა და ამბობდა, რომ ეს მხოლოდ დროებითი სტუმრობაა, თორემ ისე, რასაკვირველია, ჩვენ თავის დღეში არ ვიტყვით, შავის ზღვის პირას ოსმალეთიდან სომხები გადმოსახლონ და გურულ-მეგრელები კი უმამულობით გაჭირვებაში იყვნენო. დღეს ბ-ნი არლო გვიმტკიცებს, რომ ოსმალეთის სომხებს სოხუმის ოლქში არა თუ კერძო მამულებზე დასახლების მხრივ, არამედ სხვა მიწებზე (ალბად, სახაზინო მიწებზე) დასახლების მხრივაც ბევრად მეტი უფლება აქვთ, ვიდრე გურულებსო.

ამ საინტერესო „ემიგრანტს“ ისტორიულად „გამოუკვლევია“ ოსმალეთიდან გადმოსულთა „უფლება“, გამოუძიებია საქართველოს საზღვრებიც და დარწმუნებულა, რომ მის თანამოძმეებს, ვითარცა „პონტოელებს“, უფლება ძ დიდი უფლებაცა აქვთ შავის ზღვის პირას დასახლებისა; დასახლებისა—არა დროებით, სტუმრად, არამედ—სამუდმოდ, ნამდვილად. ბ-ნ ქალანთარის მოხსენების შემდეგ ორი თვეც არ გასულა, და ამ მოკლე ხნის განმავლობაში ,,მშაკი''-ს რედაქტორის რწმუნებას,—რომ ეს ,,დროებითი'' სტუმრობააო—სახე ეცვალა და ბ-ნ არლოს ,,თეორიაში'' ,,უფლებით'' მოსილ სამუდამოდ დასახლების მოთხოვნად გადაიქცა. მკითხველი ხედავს,—ჩვენ არ ვცდებოდით, როცა ვწერდით: ეს ,,სტუმრობა'' მალე მუდმივად გადაიქცევა და შემდეგ რამდენისამე ხნისა გამოჩნდება ახალი ბ-ნი გ. თ., რომელიც ამ საფუძვლით საზღვრებსა და ტერიტორიის ,,ეროვნულ' შემოფარგვლაზე დაიწყებს ლაპარაკსო. ეს მოსაზრება ისე მალე გამართლდა, რომ ჩვენ არც კი მოველოდით. ბ-ნმა არლომ ,,ისტორიულად'' ,,დაგვიმტკიცა'', რომ სოხუმის ოლქში გურულს და საზოგადოდ ქართველს ხელი არა აქვს,—იქ დასახლების უფლება ოსმალეთის სომხებს ეკუთვნით, რომელნიც ,,პონტოელები'' არიან.

ნუ გაგიკვირდებათ: ეს ისეთი ,,თეორიაა'', რომელიც სავსებით ამართლებს სომეხთა ცნობილ ,,პეტიციის'' მოთხოვნასაც. ამ პეტიციაში ნათქვამია, რომ ოსმალეთიდან გადმოსახლებულებს კავკასიაში (და არა მარტო სოხუმის ოლქში) მიწები უნდა დავურიგოთ და დავასახლოთო. ამ მოთხოვნას ისტორიული საბუთი აქვს, რომელსაც, იმედია, მოკლე ხანში რომელიმე ახალი ბ-ნი არლო გამოაცხადებს: როგორც მოგეხსენებათ, ოსმალეთში მცხოვრები სომხები, როგორც ჩვენ და მრავალნი სხვანი, „კავკასიის რასსას“ ეკუთვნიან, და ამიტომ მათ, რა თქმა უნდა, ამ რასსიულ სახელის საფუძვლით შეუძლიანთ მოითხოვონ კავკასიაში მიწა და დასახლება...

რასაკვირველია, ბ-ნ არლოს „ისტორიული“ არგუმენტაცია ყველას,—როგორც ისტორიის მცოდნეს, ისე არ-მცოდნესაც,—ღიმილს მოჰგვრის და ჩვენ იმის დასარღვევად ერთ სიტყვასაც არ დავხარჯავთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს ამბავი ძალიან საგულისხმიეროა: ისეთი დრო დაგვიდგა, რომ თურმე შავის ზღვის პირას უმამულო გურულებისა და მეგრელების დასახლებას ვერ მოვითხოვთ; ვინაიდან იქაური მიწები „ისტორიულის“ უფლებით ოსმალეთის „პონტოელ“ სომხებს ეკუთვნით... ეს მადიანი „ემიგრანტი“ დასახლებას კი აღარ კმაყოფილდება,—„ისტორიულ“ უფლებასაც ისაკუთრებს და ქართველს თეორიულადაც აწბილებს...

აი, ამაზე ითქმის: ყოველი გზა რომში მიდისო. ბ-ნ არლოს ,,ამართლებს'' არა თუ ისტორია, არამედ აწინდელი ცხოვრებაც. ოსმალეთში გადასახლებულნი არიან ქართველი მაჰმადიანები, რომელნიც სომხებს სიცოცხლეს გვიმწარებენო. და რა იქნება, რომ ჩვენ მათ მაგიერად აქ მოვიდეთ და „კულტურა“ შემოვიტანოთო.

ჩვენ გაგვიგონია, რომ თავის ქება არ არის მაინცა-და-მაინც კარგი თვისება, და ამიტომ, როცა ბ-ნი არლო თავის თავს „კულტურტრეგერს“ უწოდებს,—უცხოს ეს ეხამუშება და იტყვის, მის მეგობრებს თავმდაბლობის გრძნობა არა ჰქონიათ. მაგრამ ვთქვათ, მართალია „მშაკი“-ცა და ბ-ნი არლოც,—გადმოსახლებულები მართლა დიდ კულტურას ავრცელებენ ჩვენში. ნუ თუ ეს საბუთია იმისი, რომ ადგილობრივმა მკვიდრმა ბარგი-ბარხანა აიკიდოს და სხვაგან გადაბარგდეს? ყოველი ადგილობრივი მოღვაწე, განურჩევლად ეროვნებისა, იმას უნდა ცდილობდეს, რომ კულტურა ადგილობრივ ხალხში გავრცელდეს, ამაღლდეს, და არა იმას, რომ სხვადასხვა სახელმწიფოებში მომზადებული ელემენტები მოსძებნოს, მოიყვანოს და თავისი მიწა-მამული იმას ჩააბაროს. განა საეჭვოა, რომ გერმანელები ან ფრანგები უკეთ შეიმუშავებენ მიწას? მაშ ავდგეთ და კავკასიაში მცხოვრებ გლეხებს ადგილები ჩამოვართვათ და მოწვეულ ფრანგ-გერმანელებს დავურიგოთ. ამას ბრძანებს ის ლოღიკა, რომელსაც ,,მშაკ''-სა და ბ-ნ არლოს აზროვნება ემორჩილება.

ბ-ნი არლო ნატრობს: ნეტა თქვენებს დააბრუნებდეთ ოსმალეთიდან და ჩვენ სიამოვნებით წავალთ ჩვენს სამშობლოშიო.

ამაზე უნდა მოვახსენოთ შემდეგი: როცა ქართველი მაჰმადიანები მიდიოდნენ ოსმალეთისკენ, ყოველი შეგნებული ქართველი ცდილობდა დაეკავებია და ეჩჩია, არ გადასახლებულიყვნენ. ვერც მწერლობაში, ვერც კერძოდ ბ-ნი არლო ვერ გვიჩვენებს მაგალითს, რომ ქართველს გადასახლება და სამშობლოს მიტოვება ეჩჩიოს ქართველ მაჰმადიანებისთვის.

ეს ერთი. მეორე—ჩვენ, საუბედუროდ, ხმა არ მიგვიწვდება ოსმალეთში მცხოვრებ ქართველობასთან. ხოლო თუ ბ-ნი არლო და მისი თანამოაზრეები დაგვეხმარებიან, რომ ის ჩვენი თანამოძმეები აქეთკენ დავაბრუნოთ, თუ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მოვლენ ქართველი მაჰმადიანები, რომელთაც ამ 60 წლის წინად მიატოვეს მამაპაპური კერა, და დაიბრუნებენ თავიანთ მიწა-წყალს, რომელიც დღეს, მათის მოუფიქრებლობის გამო, სხვებს უჭირავთ,—ჩვენ დიდად და დიდად მადლობელი ვიქნებით. გასწიოს ბ-ნმა არლომ ასეთი პროპაგანდა ოსმალეთში,—ჩვენ არ დავემდურებით...

ბ-ნი არლო თავის წერილს მუქარით ათავებს: ,,ხომ ხედავთ,—სწერს იგი,—რომ ვერავითარ მიზანს ვერ აღწევენ ისინი, ვინც ჩვენზე უფრო ძლიერნი არიან, და მათი ძალმომრეობა და განსაკუთრებული ზომები უნაყოფო რჩებოდა ყოველთვის''. ამისი თქმა ჩვენს—ქართველების—შესახებ იმას ამტკიცებს, რომ ბ-ნი არლო და ,,მშაკი''-ს ბანაკი დიდის ტაქტისა და გამჭრიახობის პატრონნი არიან. ასეთისავე გამჭრიახობით უნდა ავხსნათ ისიც, რომ ბ-ნი არლო, თუ მთარგმნელმა სისწორით სთარგმნა მისი სიტყვა, ავაზაკებს უწოდებს აფხაზებს, რომელთა შორის დღეს თვითონ ცხოვრობს. ნუ თუ გაზეთს, რომელსაც სულ მუდამ „ძმობა-ერთობა“ აკერია ენაზე, იმდენი მოფიქრება არა აქვს, რომ დღეს, როცა ამდენი სამწუხარო ამბები ხდება კავკასიაში, არ ვარგა ასეთის სიტყვითა და კილოთი მოხსენიება მეზობელ ხალხებისა?

ან, იქნება, ,,ძმობა-ერთობაზე'' ლაპარაკი და სხვადასხვა ეროვნული კომპლიმენტები ტფილისის საბჭოშია საჭირო მსმენელთა დასაშოშმინებლად და არა გაზეთში, რომელსაც უცხონი ვითომ ვერ წაიკითხავენ?.. შეიძლება ,,მშაკი'' ასეც ფიქრობდეს,—არ ვიცით..

ემიგრანტის პასუხი.

(შავი ზღვის პირას გადმოსახლებულთა საკითხის შესახებ)

მეტად გაგვამწარა და გაგვაკვირვა იმ გარემოებამ, რომ ქართული პრესსა მტრულის თვალით უყურებს იმ უცხოელ მეურნეებს, რომელნიც ცხოვრობენ შავი ზღვის პირას.

ბ ნმა ქალანთარმა და ბ-ნმა ლეომაც უკვე გაარკვიეს, თუ რამდენად უსაფუძვლოა ასეთი საქციელი, მაგრამ რაკი ჩვენზე, გადმოსახლებულებზე, სწერენ და ლაპარაკობენ, ამიტომ, მგონია, ჩვენც უნდა მოგვეცეს უფლება ჩვენი პასუხი გამოვთქვათ.

1) გადმოსახლებულები **კერძო მამულებზე** თავიანთ ოფლისა და სისხლს ღვრიან და ამით შოულობენ ლუკმა პურს. რაღად ეპიტნებიან მიწის სივიწროვეს და რაღად ეშინიანთ თამბაქოს ფოთლებისა?

2) კავკასიას მოშორდნენ უკულტურო და ავაზაკი ტომები, რომელნიც წინად მიწათ-მოქმედებას მისდევდნენ აქა, და მათ ადგილას მოვიდნენ კულტურული და მშვიდობიანი მეურნეები, რომელთაც მიწა არ ჰქონდათ სრულებით. რა არის არა-სასურველი ამ ემიგრანტების გადმოსახლებაში, გარდა იმისა, რომ ისინი ტომით ქართველები არ არიან

3) კავკასიიდან დაახლოვებით 1 მილიონი ჩერქეზი, აფხაზი და სხვა ეროვნება გადასახლდა ოსმალეთში და მათ მაგიერ სულ ბევრი ასი ათასი სომეხი და ბერძენი მეურნე შემოვიდა აქ. ამიტომ ამ მხრივაც აქ არავითარი ზარალი არ მოგსვლიათ.

4) კერძო მამულებზედაც რომ არ ყოფილიყვნენ ემიგრანტები, მაინც მათ მეტი ზნეობრივი უფლება ჰქონდათ ამ ადგილებზე დასარჩენად, ვიდრე ბაიაზეთელ სომხებს ან გურიის გლეხებს, ვინაიდან ა) ამ ემიგრანტებში მრავალი ცუდმა ჰავამ და ადგილობრივმა პირობებმა იმსხვერპლა და ამათ შეუმუშავებიათ ეს გავერანებული ადგილები; ბ) კავკასიის ცხოვრების პირობებმა განდევნა ჩერქეზები, აფხაზები და ქართველი მაჰმადიანები ტრაპიზონისაკენ. ესენი მივიდნენ იქ და სომხითა ადგილებს დაეპატრონენ, ძარცვა-გლეჯა და ხოცვა დაგვიწყეს, რათა ამნაირად კავკასიელ და მოსკოველ გიაურების ჯავრი ამოეყარეთ მცირე-აზიის უმწეო გიაურებზე, ასე რომ ჩვენ რაღაცა მსხვერპლი შევიქენით სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიტიკისა. და ახლაც იქ დარჩენილი ჩვენი ნათესავები ამის გამო დიდ გაჭირვებას იტანენ. ოჰ! რა მადლიერნი ვიქნებოდით, რაიმე მანქანებით რომ დაგვიბრუნებინათ თქვენები კავკასიაში და ჩვენ განგვედევნეთ ჩვენს საყვარელ სამშობლოსაკენ, რომელიც, გვერწმუნეთ, უფრო მდიდარია და ლამაზი, ვიდრე რუსების რივიერა.

ხოლო თუ შოვინისტობა საქმის გამორკვევაში ერთად-ერთი საზომი არის, მაშინ გთხოვთ კიდევ დაუკვირდეთ ჩვენს სიტყვებს.

როგორც ვიცით, ოსმალელი სომხები ცხოვრობენ სოხუმის, გაგრის, ადლერის, სოჭის და ყუბანის ოლქებში. ნება მოგვეცით შევნიშნოთ, რომ ამ მხარეს საქართველოსთან არავითარი კავშირი არა აქვს და ჩვენთან მცხოვრები მეგრელები თავიანთ თავს ისევე სთვლიან გადმოსახლებულ ემიგრანტებად, როგორც სომხები და ბერძნები. საქართველოს საზღვარი სამეგრელოს მხრივ ოჩემჩირემდის მიდის, ოჩემჩირიდან გაგრამდის აფხაზეთია, გაგრიდან სოჭამდის—ჩერქეზეთია და, თქვენი საზღვრების აღნიშვნა თუ არ გინდათ და საყვედურს აცხადებთ იმის გამო, რომ ამ ადგილებში ხალხი ოდესღაც ქართველების გავლენის ქვეშ ყოფილა, და სწორედ ამიტომ გინდათ გაგვაძევოთ ამ საზღვრებიდან,—ეს რაღა იქნება? ერთხანს პონტის სარდლის მიტრიდატის ძალასა და გავლენას ექვემდებარებოდა ყველა ეს ნაპირები და დღესაც ყირიმი, კერჩი და თეოდოსია თავს იქებენ პონტოელის მიტრიდატის ნაშთებით.

ამიტომ, თქვენის ლოღიკის ძალით, ჩვენც, როგორც პონტოელებს, ისეთივე უფლება გვაქვს ამ ადგილებზე, როგორც თქვენ, ქართველებს, და როგორც გენუელებს ან ვენეტიკელებს.

არა, ბატონებო! დააგდეთ ასეთი ნაციონალისტობა და ეროვნების გაძლიერება ეძიეთ კულტურულ და მშვიდობიან კონკურენციაში. ხომ ხედავთ, რომ ვერავითარ მიზანს ვერ აღწევენ ისინი, ვინც ჩვენზე უფრო ძლიერნი არიან, და მათი ძალმომრეობა და განსაკუთრებული ზომებიც უნაყოფოდ რჩებოდა ყოველთვის.

ვ. სოჭა.

არლო.

უცხოეთის პრესსის აზრი ცუსიმის ბრძოლის შესახებ

როჟესტვენსკის ფლოტის განადგურებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, საზღვარ-გარედაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველა გაზეთი, განურჩევლად მიმართულებისა, ერთნაირად ეფასებს ცუსიმის ბრძოლის შედეგს და რუსეთის ბიუროკრატიის დაუდევრობას, უნიჭობასა და უვიცობას აბრალებს.

რუსეთ-საფრანგეთის პირველი მცველი და რუსეთის მომხრე **„ტან“-ი** სწერს:

„რუსეთმა სამუდამოდ ხელი უნდა აიღოს გამარჯვებაზე. ლინევიჩი გენიოსიც რომ აღმოჩნდეს და ოიამას ჯარი სულ გაანადგუროს, პორტ-არტურს მაინც თვალითაც ველარ ნახავს. მერე ამის შემდეგ კერპობა ღირს? რად, რისთვის? ჩვენ მუკდენის დამარცხების მეორე დღიდანვე ვურჩევდით, გეყო, ნუღარ კერპობ, თორემ უარესი დღე დაგადგებაო, მაგრამ რუსეთმა ყური არ გვიგდო და უკანასკნელ ქადალდსაც ჩამოვიდა. საფრანგეთი რუსეთის საქმეებში დაინტერესებულია, როგორც მოკავშირე და როგორც მისი მევალე, და ამიტომ პირდაპირ და გადაჭრით აცხადებს, რომ რუსეთი ვალდებულია ზავი ჩამოაგდოს“. საფრანგეთის ბურჟუაზიის გაზეთი პირდაპირ თხოულობს: მოვალე ხარ ომი მოსპო და ანგარიში გაგვისწოროვო.

„ბერლინერ ლოკალ ანცაიგერ“-ი სწერს:

„იაპონელების ასეთ გამარჯვებას თვითონ ტოგოც არ მოელოდა, არა თუ ჩვენ. საკვირველია რუსეთის ჯავშნოსანთა ბედი. ცუსიმას ბრძოლამ კიდევ დაამტკიცა, რომ ახალ სისტემის ჯავშნოსნების მოხმარება მხოლოდ გამოცოცხლებულსა, ნასწავლსა, გაწვრთნილსა და თავისუფალ ქვეყანაში აღზრდილ მეზღვაურებს შეუძლიანთ. აპა, როგორ შეეძლო რთულ მანქანებით სავსე გემის მოხმარება უვიცსა, გაუნათლებელსა და მონობის პრინციპზე აღზრდილს რუს მეზღვაურს? ცხადია, ომი გათავდა. ამ ბრძოლის შემდეგ კერპობა უგუნურება იქნება“.

მეორე გერმანული გაზეთი **„ბერლინერ ტაგებლატ“**-ი სწერს:

„ახლა ოიამას სამუდამოდ გაეხსნა ხელები. აი, ახლა დაუდგა იაპონიის ჯარს თავისუფლად მოქმედების დრო. ადვილი გამოსაცნობია, თუ რა საქმეს ჩაიდენს ოიამა დღეის იქით. დღემდის იგი ბრძოლის ველის ბატონი იყო, დღეის იქით კი მეფე გახდება. ტყუილი იმედი აქვს რუსეთს, თუ აქამდის ერთხელ მაინც ვერ გაიმარჯვა, ახლა ხომ ისლა დარჩენია, რომ თავის ბარგი-ბარხანა აკრიბოს და შინისკენ გამოსწიოს“ (ნ.).

მესამე გერმანული გაზეთი, რეაქციონერთა ორგანო **„კროიც ცაიტუნგ“**-ი სწერს:

„ისტორიაში არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა: რუსეთის ფლოტის ერთი ნაწილი დაიღუპ ორე კი... ტყვედ დანებდა. ამისთ ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. მერ ლია ასეთი სამარცხვინო დამარცხ

ცისა? ორისა? არა, ეს ერთი და ორი კაცის ბრალი არ არის. განა კუროპატკინსა, ზასულიჩსა და შტაკელბერგს იაპონელებზე მეტი ჯარი არ ჰყავდათ? მაგრამ ბრძოლაში თვითონ კუროპატკინი და ზასულიჩი კი არ დამარცხდნენ, არამედ განადგურდა სახელმწიფოს მთელი სისტემა, განადგურდა რუსეთში არსებული წესწყობილება და რეჟიმი, რომელიც ადამიანის დამონავებასა და საუკეთესო მამულიშვილების დახრჩობაზეა დამყარებული. არსებულ რეჟიმს იცავენ მხოლოდ კარიერისტები და ქედ-დახრილნი, რომელთაც არადროს და არსად გაუმარჯვნიათ და ვერც გაიმარჯვებენ (რ. ვ.).

ავსტრიის ოფიციალური გაზეთი ,,**ნოიე ფრაი პრესსე**'' სწერს:

,,როჟესტვენსკის მოგზაურობა წინდაწინვე რაღაც რომანტიულ ნისლით იყო მოცული. მას უნდოდა უკანასკნელი ღონე მოეკრიბა და გამარჯვებულ იაპონიისათვის შური ეძია, მაგრამ... რუსეთის დამარცხების სიას ერთი ახალი, უზარმაზარი და უმაგალითო დამარცხებაც მიემატა. ნათელმა ერთხელ კიდევ დაამარცხა სიბნელე. ჭკუამ სძლია უგუნურება, განათლებამ შეარცხვინა უვიცობა. ახლა ვიკითხოთ: შეუძლიან რუსეთს იაპონიის დამარცხება? პასუხი ერთია: არა და არა! ვიცით, რომ ამაყი რუსეთი ამ ,,არას'' ვერ მიიღებს, მაგრამ ისიც ვიცით, რომ შერიგების გარდა სხვა გზა არ არის. მართალია, ამჟამად რუსეთში რეაქცია მეფობს, რომელსაც საერთო პროტესტის დახრჩობა უნდა, მაგრამ როჟესტვენსკის ფლოტის განადგურება პროტესტის ძალას გააორკეცებს, რეაქციას კი შეასუსტებს და შეაშინებს. რუსეთის ყოველი გემი, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში იძირება, იაპონიის ყოველი ყუმბარა, რომელიც რუსეთის გემს გვერდს უნგრევს—რუსეთის გაფხიზლებაა, რომელსაც ბიუროკრატია ფრთხილად უნდა მოეკიდოს, თორემ მერე გვიან-ღა იქნება. კორეის სრუტეში ჩაიძირა რუსეთის ბიუროკრატიის სახელი, სიამაყე და მასთან ერთად მისი სიცოცხლეც (ნ.).

ჟორესის გაზეთი ,,**ჰუმანიტე**'' სწერს:

„როგორ მოვტყუვდით, რა დაგვემართა, ხომ არ დავბრმავდით? ჩვენ რუსეთის იმედი გვქონდა, რუსეთი გვიშველისო, ნამდვილად კი რუსეთს ჩვენ უნდა ვუშველოთ. არა, დღეის შემდეგ ასეთი სუსტი და უღონო მეგობრის იმედი აღარ უნდა გვქონდეს. დროა, გათავდეს ეს საშინელი ტრაგედია, რომელიც რუსეთს სამარეს გაუთხრის და ბოლოს მოუღებს (ნ. ქ.).

,,**ენდეპანდანს ბელჟ**'' სწერს:

“როჟესტვენსკის დამარცხება სამგლოვიარო ზარის უკანასკნელი ჩამოკვრა იყო. ცუსიმას კუნძულთან რუსეთმა საბოლოოდ დამარხა თავისი დიდება, სახელი, ძალა და სიამაყე, რომელსაც მხოლოდ განახლებული რუსეთი აღადგენს (ნ. ქ.).

„**ცაიტ**''-ი სწერს:

,,იაპონიამ რუსეთი ახლა კი საბოლოოდ დაამარცხა; დაამარცხა ისე, როგორც უნდა დაემარცხებინა თავისუფალ და განათლებულ იაპონიას ის რუსეთი, რომელმაც გასრისა პიროვნება, თავისუფლება, განათლება და მის მაგიერ გაამეფა თვითნებობა, ძალმომრეობა'' (ნ. ქ.).

„**ტაიმს**''-ი კითხულობს:

,,არც ახლა აღიარებს რუსეთი, რომ დამარცხდა და გამარჯვების იმედი საბოლოოდ მოესპო? ჩვენ გულწრფელად ვურჩევთ რუსეთს, მიანებოს თავი ამ უბედურ ომსა და შინაურ საქმეებს მოუაროს, თორემ აქ, რუსეთში, უფრო უარესად დამარცხდება, ვიდრე მანჯურიაში'' (ნ. ქ).

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

26 მაისი.

ქრისტიანია, 25 მაისი. სტორტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც ავალებდა სახელმწიფო საბჭოს აესრულებინა სახელმწიფო მოვალეობანი, რადგანაც უნიამ კავშირი გასწყვიტა შვეციასთან და ნორვეგიის მეფემაც უარი სთქვა თავის თანამდებობაზე. მეფეს ადრესით შეატყობინეს სტორტინგის გადაწყვეტილებანი. სტორტინგი სთხოვს მეფეს დაეხმაროს მას და გვირგვინი სამეფო სახლის ერთ-ერთს უმცროს პრინცთაგანს ჩააბაროს. ელოდებიან სტორტინგის პროკლამაციებს ხალხის მიმართ.

სტოკჰოლმი, 25 მაისი. მეფემ სტატს-სეკრეტარს მიხელსონს ტელეგრაფით მტკიცე პროტესტი გამოუცხადა მთავრობის მოქმედებისა გამო.

სტოკჰოლმი, 25 მაისი. ადგილობრივი პრესსა აღნიშნავს, რომ ნორვეგიაში რევოლუცია იწყება და ჰგონია, რომ უნია გააუქმა არა მარტო ნორვეგიამ, არამედ შვეციამაცაო.

მოსკოვი, 25 მაისი. მთელ რუსეთის ქალთა კავშირის განყოფილებამ შეიმუშავა ომის წინააღმდეგი რეზოლუცია და გადასწყვიტა მიჰმართოს რუსის ყველა ქალებს.—ემზადებიან მომავალ მობილიზაციისთვის. ქალაქი ამზადებს ყაზარმებს. არსდება ლიტერატორთა კავშირის განყოფილება.

კერჩი, 25 მაისი. ახალმა საბჭომ ხელმწიფეს მიართვა ადრესი, რომელშიაც გამოთქმულია ხალხის წარმომადგენლების საჩქარო მოწვევის აუცილებლობა.

სარატოვი, 25 მაისი. ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა წერილობითი მოხსენება წარუდგინა ქალაქის მოურავს დაუყოვნებლივ მოიწვიოს კრება და მთავრობას შეატყობინოს ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის აუცილებლობა.

მოსკოვი, 25 მაისი. დღეს ქალაქის საბჭოს უნდა განეხილა 90 ხმოსნის წინადადება ხალხის წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევაზე. ქალაქის მოურავმა გრადონაჩალნიკისაგან მიწერილობა მიიღო, რომ გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ამ საკითხზე ბჭობა არ შეიძლებაო. საბჭომ, მიიღო-რა მხედველობაში საქალაქო დებულებანი, სენატის განმარტება და 18 თებერვლის უმაღლესი ბრძანება, ხმის უმეტესობით 80 ოცის წინააღმდეგ კანონიერად ჩასთვალა თავისი უფლება ამ საკითხის გამორკვევაში და დაადგინა: აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია,—დაუყოვნებლად მოწვევა ხალხის წარმომადგენელთა, რომელთა კრებაც უპირველესად ომის შეწყვეტას მოითხოვსო. ეს დადგენილება 18 თებერვლის უმაღლეს ბრძანების თანახმად მინისტრთა საბჭოს წარუდგინოსო. დადგენილების ოქმი ხალხის დასწრებით გამოცხადდა.

სამარა, 24 მაისი. საბჭომ ერთხმად დაადგინა: ბრძოლის ველიდან მოსულ უკანასკნელ ამბების გამო შუამდგომლობა აღიძრას, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას ხალხის წარმომადგენელნი.

ყაზანი, 24 მაისი. საბჭომ ერთხმად დაადგინა: შინაგან საქმეთა მინისტრს ეთხოვოს, რათა მან უქვეშევრდომილესი გრძნობანი გარდასცეს მის უდიდებულესობას და უმდაბლესად ეთხოვოს, რომ უმაღლესი სურვილი ხალხის წარმომადგენელთა მოწვევაზე დაუყოვნებლივ აღსრულდეს.

პარიჟი, 24 მაისი. რუვიემ გარეშე საქმეთა მინისტრობის მიღებისას გამოაცხადა, რომ კაბინეტის საზოგადო პოლიტიკაში ცვლილება არაფერი მომხდარაო.

ქრისტიანია, 25 მაისი. სტორტინგმა მეფე გადააყენა, აღიარა ნორვეგიის დამოუკიდებლობა და მოითხოვა, რომ ნორვეგიის მეფედ არჩეულ იქმნას შვეციის სამეფო საგვარეულოს ერთ-ერთი უმცროსი პრინცთაგანი.

მოსკოვი. გუშინ, საღამოთი, ხუთასამდე მოსწავლე ახალგაზრდობა ტვერის ჭიშკრიდან გრადონაჩალნიკის სახლისკენ გაემართა. პოლიციამ და ჟანდარმებმა ბრბო გაჰფანტეს.—უნივერსიტეტის უმცროსმა მასწავლებლებმა დაადგინეს: არ მიიღონ პროფესორობის ადგილები თუ იგი შემოდგომაზე, პროფესორთა დათხოვნისა გამო, განთავისუფლდებაო.

ბერლინი, 25 მაისი. დელკასეს სამსახურიდან გამოსვლა ყველას ესიამოვნა.

ცეტინიე, 25 მაისი. ბარიცსა და კრუშიცში სისხლის ღვრაა. მოკლულია მრავალი მაჰმადიანი. ქრისტიანებს თავზე დაცემას უპირებენ. სახელმწიფოებმა პორტას დაბეჯითებით მოსთხოვეს, რომ საზღვრებზე მყუდროებიანობა არ ირღვეოდეს.

კიევი, 25 მაისი. სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით, მეოთხე კურსის სტუდენტებს ნება მიეცათ ეგზამენები ენკენისთვეში ჩააბარონ. ვინც ამაზე არ დათანხმდება, ნება ეძლევათ გამოიცადონ შემდეგს წელს, როგორც ექსტერნები. კურსზე მეორე წელიწადს არავის დასტოვებენ.

სტოკჰოლმი, 26 მაისი. ,,სტოკჰოლმ ტაგებლატ''-ი იუწყება, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროში მოსამსახურე ნორვეგიელებმა სამსახურს თავი დაანებესო.

ყაზანი, 26 მაისი. ,,ვოლჟსკი ლისტოკი'' სწერს: გესტის თუთუნის ქარხანამ 5000 გირვანქა თამბაქო შესწირა შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნად. თამბაქოს აქციზი აჰხადეს და დანიშნულებისამებრ გაისტუმრებს. ქარხანას ეხლა შეუტყვია, რომ თამბაქო მეომართათვის კი არ დაურიგებიათ, არამედ ხარბინის ერთს დუქანში უბანდეროლოდ ჰყიდიანო. შემწირველმა ქალმა საქმის გამოსაძიებლად შუამდგომლობა აღძრა.

პიატიგორსკი, 26 მაისი. 25 მაისს მოსამსახურედ ნამყოფმა ქისტმა მოჰკლა ექიმი გრაბოვსკი. მკვლელი შეიპყრეს.

მოსკოვი, 26 მაისი. მოსკოვის ვაჭრებმა თხოვნა მისცეს ფინანსთა მინისტრს. ვაჭრები თხოულობენ, რომ მოსკოვის კომერციული სასწავლებელი, რაც შეიძლება, მალე გადააკეთონ სპეციალურ კომერციულ ინსტიტუტად.

სოხუმი, 26 მაისი. ქალაქში საერთო გაფიცვაა. ნავთსადგური და ყველა სამრეწველო დაწესებულებანი დაკეტილია.

ვარშავა, 26 მაისი. გუშინ დღისით ქუჩაზე სამის ტყვიით მოჰკლეს ფაბრიკანტი ნეიმანოვიჩი. მკვლელი დაჭერილია.

ტანჟერი, 26 მაისი. დელკასეს სამსახურიდან გამოსვლა მაროკოში ძალიან გაეხარდათ. ამბობენ, ტალიანდიეც უნდა გადადგეს სამსახურიდანაო.

სტოკჰოლმი, 26 მაისი. (ბერლინზე). აქ მშვიდობიანობაა. მომავლის შესახებ არავინ არაფერი იცის. რეიხსტაგის მოწვევას დააჩქარებენ. დანარჩენი ამის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

სტოკჰოლმი, 25 მაისი. მეფე ოსკარმა ნორვეგიის სამეფო ტახტი თავის შვილს დაუთმო.

ხარკოვი, 26 მაისი. ოდესიდან მოსულ მატარებელში იპოვნეს ერთი კალათი, რომელშიაც მოკლულ ყმაწვილის გვამი იდო.

იოჰანესბურგი, 26 მაისი (რეიტ.). ჩინელი მუშები დაეცნენ ოქროს მადნების მცხოვრებლებს.

ბერდიჩევი, 26 მაისი. დღეს, დილის 11 საათზე, ჟანდარმის უნტერ-ოფიცერმა ღელეკომ, სამსახურიდან დათხოვნისათვის ჯავრის ამოსაყრელად, რევოლვერით მოჰკლა როტმისტრი მარკოვსკი და ჟანდარმი ცუკანოვი და სასიკვდილოდ დასჭრა ვახმისტრი პალეა. მკვლელმა თავის მოკვლა მოინდომა, მაგრამ ჭრილობა საშიში არ აღმოჩნდა.

ბრაცლავი, 26 მაისი. ერთის თვის წინად სხვადასხვა სოფლებში გლეხთა მოძრაობა დაიწყო. ძალით დაითხოვეს მემამულეთა მოსამსახურე პირები და მოითხოვეს მინდვრის დღიურ მუშაობაში ერთი მანათი; ზოგან მემამულეთა ტყეებიც გადაკაფეს. აქამდის არეულობის ჩაქრობას ადმინისტრაცია ახერხებდა. ახლა კი, რადგანაც მოძრაობამ საშიში ხასიათი მიიღო, დასახმარებლად ჯარი მოითხოვეს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

26 მაისი.

ლონდონი, 25 მაისი. ზავის შესახებ დაბეჯითებით ლაპარაკობენ, მაგრამ როგორღაც იმედი უცრუვდებათ, რადგან, როგორც ეტყობა, იაპონია უარზეა დაასახელოს თავისი პირობანი, თუმცა კი ზავის ჩამოგდებაზე თანახმა არის.

პეტერბურგი, 25 მაისი. უქვეშევრდომილესი დეპეშა ადმირალ როჟესტვენსკისა ტოკიოდან 24 მაისის თარიღით: «14 მაისს, ნაშუადღევის ორის საათის ნახევარზე იაპონიასა და ცუსიმას შუა მოგვიხდა ბრძოლა იაპონიის ფლოტთან, რომელსაც შეადგენდა თორმეტი გემი და თორმეტიოდე კრეისერი. სამი საათის ნახევარზე „სუვოროვი“-დან მართველობა უნდა გადაგვეტანა სხვა გემზე, ოთხის ნახევარზე კი შტაბის ნაწილი და მე, გულშეწუხებული, გადაგვიყვანეს „ბუინი“-ზე, სადაც უკვე გადაეყვანათ დაღუპულ „ოსლიაბლია“-ს მეზღვაურნიც. უფროსობა ჩაბარდა ნებოგატოვს. ღამე „ბუინი“-მ ესკადრა თვალიდან დაჰკარგა. დილით ნახეს ,,დიმიტრი დონსკოი'' ორი ნაღმოსნით. ,,დიმიტრი დონსკოი''-ს გადასცეს „ოსლიაბლია“-ს მეზღვაურნი, მე კი გადამიყვანეს ,,ბედოვი''-ზე, რომელიც ,,გრომკი''-სთან ერთად მიდიოდა. 15 მაისს, საღამოზე, გავიგე, რომ ,,ბედოვა'' დანებებია იაპონელების ორს ნაღმოსანს. ,,ბედოვი'' მიიყვანეს სასებოში 18 მაისს. როგორც მაცნობეს, ნებოგატოვი სასებოში იმყოფება“.

მანილა, 25 მაისი. რუზველტმა განკარგულება მოახდინა, თუ რუსის გემები 24 საათის განმავლობაში ნავთსადგურიდან არ გავლენ, დაატყვევეთო. ეს განკარგულება ენკვისტს დღეს, დილის 11 საათზე, აცნობეს.

ლონდონი, 24 მაისი. „რეიტერის სააგენტომ'' გაიგო, რომ იაპონიის მთავრობას ზავის პირობები ჯერ არ შეუმუშავებია.

ტოკიო, 24 მაისი. (დეილი ტელ.) ოფიციალურ ცნობებით, წყალქვეშმავალი ნავები ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ.

მანილა, 24 მაისი. ენკვისტის სიტყვით, როცა ბრძოლა დაიწყო, „ოლეგი“, „ავრორა“ და ,,ჟემჩუგი'' ყველაზე წინ მიდიოდნენ და მტერს ზვერავდნენ. რუსების გემები შავად და თეთრად იყვნენ შეღებილი, იაპონელებისა კი

მანილა, 25 მაისი. „დეილი-მეილი“. რუსეთის გემების ფოტოგრაფიული სურათები გადაიღეს, რომელიც ცხადად ჰმოწმობს ჰათს დაზიანებას, რასაც ენკვისტი საბუთად გამოიყენებს, თუ სამართალში მისცეს.

ტოკიო, 25 მაისი. ზღვაზე ომის დროს 6142 ტყვე წამოუყვანიათ. ამათში 23 მაისამდე 3 გარდაიცვალა, 137 ანთავისუფლეს, მათ შორის მღვდელს და ექიმებს, 69 უკვე გაისტუმრეს «დეილი-ტელეგრაფი“ იუწყება, რომ წყლის ქვეშ მავალ ნავებს დიდის ღელვისა გამო ბრძოლაში მონაწილეობა ირ მიუღიაო. რუსეთის დატყვევებულ გემებს სახელები შეუცვალეს: „ორიოლი“—„ივალი“, „ნიკოლაი I“—„იკი“, „აპრაქსინი“—„ოკინოშიმა“, „სენიავინი“—«მინოშიმა“. როჟესტვენსკის ძმის წულმა ნებართვა ითხოვა, ბიძა ჩემს მე მოუვლიო. როჟესტვენსკიმ უბრალო მოწყალების და ამჯობინაო.

იაპონიის მთავარი შტაბი იუწყება, რომ რუსეთის ქვეითა ჯარმა 23 მაისს, დილით მარშიტუნზე იერიში მიიტანა, მაგრამ მოიგერიეს და უკუ აგდესო. იმავე დღეს ჩანტუს აღმოსავლეთით ათის მილის მანძილზე შახეძიდან რუსები გამოდევნეს. იაპონიის ცხენოსანმა ჯარმა რუსეთის ჯარი ჩიჩაძიდანა და მაჩატუნიდანაც განდევნაო.

ჰონკონგი, 25 მაისი. ბრიტანიის გემის უფროსი აფიცერი, რომელიც რუსებმა დაიჭირეს, ამბობს, რუსის კრეისერ ,,დნეპრი''-ს მეზღვაურთ როჟესტვენსკის დამარცხება არ სჯეროდათო. კაპიტანი ფორმოზასა და იაპონიას შუა დაცურავდა და ეძებდა გემებს, რომლებსაც კონტრაბანდა მიაქვთ იაპონიის ნავთსადგურში.

ტოკიო, 23 მაისი. ოფიციალური, იაპონელებმა განდევნეს რუსები შახენციდან, ჩანტაფუდან აღმოსავლეთით ათი მილის მანძილზე და დაიჭირეს იქ სადგური. განდევნეს აგრეთვე, ცხენოსანი სადარაჯო რაზმები ახლო-მახლო კონცხებიდან. შემდეგ რუსები უკუგდებულ იქმნენ სანძაძიდან და ჰადიონიდან, და ორივე ეს ადგილი იაპონელებმა დაიჭირეს.

შანჰაი. იაპონიის ნაღმოსანი შანჰაიდან ტოკიოში წავიდა.—როგორც „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტს გაუგია, წყალ-ქვეშ მავალი ნავების მოხმარებას ვერაფერი ნაყოფი მოუტანია, რადგან ზღვა ძალიან ღელავდაო.

ვაშინგტონი, 25 მაისი. როგორც ამბობენ, შეერთებულ შტატებს სხვა სახელმწიფოებთან ერთად უნდათ რუსეთს მოსთხოვონ 48 საათის განმავლობაში, რომ ზავი მიიღოს. რუზველტი ამბობს, შეერთებულ შტატების ინტერესები მოითხოვს, რომ რუსეთი წყნარ ოკეანეს სრულიად მოსწყდესო. აი, ამიტომ ლიაოიანის ბრძოლის შემდეგ პრეზიდენტი სულ ზავზე ლაპარაკობს.

გუნჯულინი, 25 მაისი. 24 მაისს კიდევ მოიყვანეს აქ გენ. მიშჩენკოს თავდასხმის დროს დატყვევებული იაპონელები. ამ ტყვეებში ხუთი აფიცერი ყველა მხნედ გამოიყურება. საინტერესო ამბებს გადმოგვცემენ ტყვეები იმის შესახებ, თუ რ ანაირად ახერხებენ იაპონელები მაგარ იერიშების მიტანას. აფიცრები ჯარის კაცებს უკან მისდევენ და ჰკლავენ ყველას, ვინც ეცდება უკან დახევას. აფიცრებს კიდევ მათი უფროსები მისდევენ. ტყვედ წამოყვანილი როტა ნოგის ჯარს ეკუთვნის. აფიცრები ამბობენ, პორტ-არტურთან ორი როტა ორჯელ ბრუნდებოდა უკან იერიშის დროს, მაშინ ნოგიმ გაატარა ისინი ბატალიონის წინ და ყველა მოაკვლევინა. რუსებმა ჰკითხეს ტყვეებს, რა ჯილდო მიიღეთ პორტ-არტურის აღებისთვისო? ამაზე იაპონელებმა უპასუხეს,—არავითარიო და საზოგადოდ ჩვენში ომის დროს არავინ არავითარ ჯილდოს არ იღებსო. წარდგენილი ვართო ჯილდოზე, მაგრამ რა ჯილდოზე—ის არ ვიცითო. ჯილდოს

ფელეტონი

ერთ ღამეს...

(ამბავი)

ზაფხულის მყუდრო მთვარიანს ღამეს ყმაწვილი ქალი და ვაჟი ისხდნენ გორაკზე, ხის ძირში და, ალბად, რაც სათქმელი ჰქონდათ, ერთი ერთმანეთისთვის უკვე გაეზიარებინათ, რადგან ხმას არ იღებდნენ და ოცნებას მისცემოდნენ.

ქალი იჯდა, მუხლები გაეშალა, წელში მოხრილიყო და სივრცეში გაიყურებოდა. ვაჟი ქალის სიახლოვეს წამოწოლილიყო, თავი იდაყვზე დაეყრდნო და არე-მარეს ზარმაცად თვალს ადევნებდა.

თავის უსწორ-მასწორო ადგილებით, მიხვეულ-მოხვეულ გზებით, ხშირის ღობეებითა და ხეხილით, მაღალ ფერდობზე გადაშლილიყო სოფელი და ღრმად ეძინა. სოფლის ჩამოდალმა გადაჭიმულიყო და შორს სივრცეში იკარგებოდა ტრიალი, სწორი მინდორი, რომელიც შავად და თეთრად აჭრელებულიყო; სოფელს გარსშემორტყმული, ტყეებით შემოსილი, მაღალი მთები მთვარის ნათელში მრისხანედ გამოიყურებოდა.

გარშემო სიჩუმე იყო. შორიდან მდინარის შხუილი და ბაყაყების დაუსრულებელი ყიყინი სევდის მომგვრელ მუსიკად მოისმოდა. ცა მოწმენდილიყო და ბადრი მთვარე საოცნებოდ კაშკაშებდა. მას მეჰხაროდა ურიცხვი სხვადასხვა სიდიდისა და ღირსების ვარსკვლავნი, ძირს, დედამიწაზე, სოფლის შენობები, ხეები და სასაფლაო თეთრს, მკრთალს ფონზე შავად მოსჩანდნენ.

ქალ-ვაჟი ისხდნენ, შეჰყურებდნენ ამ საუცხოვო, მშვიდს ბუნებას და ფიქრებს მისცემოდნენ.

სიჩუმე პირველად ქალმა დაარღვია: თითქოს შეწყვეტილ ბაასს განაგრძობსო, თავაუღებლივ წარმოსთქვა:

— რა არის ჩვენი ცხოვრება, რაში მდგომარეობს იგი? რა არის ბუნება?

ამ კითხვით იმას ყმაწვილისთვის არ მიუმართავს, არც პასუხს მოელოდა ვისგანმე,—იმან იცოდა, რომ ამ კითხვაზე პასუხს ვერავინ მიუგებდა.

ყმაწვილმა კაცმა მაინც თავის თავი მოვალედ ჩასთვალა ეპასუხნა და შეყოყმანდა.

— ცხოვრება? ცხოვრება... არის... ერთი ერთმანეთზე აკინძული... უსამართლობა!—სთქვა იმან და ეს პასუხი თვითონვე არ მოეწონა.

— უსამართლობა რაღა არის?—ისევ თავ-აუღებლივ იკითხა ქალმა და სივრცესთვის თვალი არ მოუშორებია.

— უსამართლობა... ეს ისეთი დანაშაულობაა, რომელიც ეწინააღმდეგება საღს გონებასა და პატიოსან გულსა.

— ვინ სჩადის ამ უსამართლობას?

— ადამიანი!..—სთქვა ყმაწვილმა და ძალიად დაამთქნარა.

— ვინ უძახის მას უსამართლობას?

— ადამიანი!

— ვინ არის მათ შორის მოსამართლე?—არ ეშვებოდა ქალი.

— ადამიანი!—ერთ და იმავე კილოთი უგებდა პასუხს ყმაწვილი.

ქალი გაჩუმდა. გაჩუმდა ყმაწვილიც.

— დღეს როგორღაც ფილოსოფიას გაუტაცნიხართ!—რამდენისამე ხნის შემდეგ წარმოსთქვა ყმაწვილმა და მწარედ გაიღიმა.

— თქვენ უარ-ყოფთ ფილოსოფიას?

— ძირს ფილოსოფია!—ზიზღით და გულმოსულად წარმოსთქვა ყმაწვილმა.—აქ ხალხი შიმშილით იხოცება, მონობაში სული ამოსდის, დღიურ ლუკმის ძებნაში არის... ფილოსოფია!.. ფილოსოფია უსაქმურ ადამიანის საქმეა!..

— თქვენის აზრით, რა უნდა ვაკეთოთ?

— უნდა ვიბრძოლოთ!—მედგრად წარმოსთქვა ყმაწვილმა.

— რისთვის უნდა ვიბრძოლოთ და ან ვის?

— ლუკმა-პურისთვის, უსამართლობას!..

— თუ ლუკმა პური მაქვს?

ყმაწვილმა ქალისკენ თოფ-ნაკრავივით მიიხედა. ქალი აირია.

— სხვა არაფერი?—სთქვა ქალმა და თავი დაღუნა.

— სხვა არაფერი!—ყმაწვილმა ქალს კარგა ხანს უყურა. ბოლოს გესლიანის კილოთი ჩაეკითხა:—თქვენ იქნებ იმ აზრისა ხართ, რომ ბალებსა და საცეკვაო საღამოებზე უნდა ვიაროთ, ვიცეკვაოთ, ვიხათხათოთ, ვიარშიყოთ, ძვირფას ტანისამოსით ხალხი გავაკვირვოთ?!.

— რა მშვენიერი ღამეა, რა საუცხოვო ბუნებაა!—სიტყვა ბანზე აგდო ქალმა და არე-მარეს თვალი მოავლო.

ყმაწვილი დადუმდა და პირი გვერდზე მიიღო.

— მშვენიერია ბუნება, როდესაც სულდგმულთ ჟივიანთ სოროებში სძინავთ!.. ერთი კითხვა კიდევ,—მიუბრუნდა ქალი ყმაწვილს,—ბუნების სიმშვენიერეს, მისს სიდიადეს თქვენ უარსა ჰყოფთ?

ყმაწვილი ხმას არ იღებდა. ქალი პასუხს ელოდა.

— არა... რათა? უარს არა ვჰყოფ!—წაიბუტბუტა იმან ბოლოს.

— ბუნების კანონებს?

— დღეს ძალიან ცუდს გუნებაზე ბრძანდებით, როგორც გატყობთ!--გულ-მოსულად წარმოსთქვა ყმაწვილმა კაცმა და პაპიროზს დაუწყო ძებნა.

— დიაღ, თქვენ მართალი ხართ, მაპატიეთ, ცუდს გუნებაზე ვარ.—სთქვა პატარა სიჩუმის შემდეგ ქალმა და მთრთოლვარე ხმით დაუმატა:

— დამიგდეთ ყური... ბავშვობიდანვე მე რაღაც ტკბილს სიზრმეში ვიზრდებოდი, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ იმ უსიამოვნობას, რომელსაც ჩვენ სწავლის დროს გვაყენებენ. სწავლა რომ გავათავე, გალიიდან განთავისუფლებულ ჩიტსა ვგავდი. ამ ჩიტს არა ჰგონია, რომ ყველა მისთანა უმანკო, უვნებელი არ არის. ყვავი, ყორანი, მიმინო, ქორი—ყველა თავისი ძმა, კეთილ-მყოფელი ჰგონია; მას ვერ აშინებს ქარი, წვიმა, სიცივე, სეტყვა,—რადგანაც ჯერ გაჭირვება არ გამოუცდია. მეც იმ ჩიტსა ვგვანდი, ჩიტსავერ ვფიქრობდი. მაგრამ მოვსტყუვდი. გაჰქრა ჩემი ოცნება, სინამდვილეს დაეჯახე და დავლონდი. მასუკან გავიდა რამდენიმე წელიწადი, ცხოვრებას ჩავუკვირდი და თვალები ამეხილა. სისაძაგლე კეთილზე ბევრად მეტია... ბევრჯელ დავაპირე თავის მოკვლა, მაგრამ კიდევ რაღაცა მწადდა, რაღასაც ველოდი და ამ მოლოდინში სულელურ რომანებსა ვკითხულობდი. გაჩნდით თქვენ...—ქალი შეჩერდა, თითქო იმიტომ, რომ ნათლად წარმოედგინა ის ნეტარი ჟამი.—გაგიცანით, გელაპარაკეთ და... გავცოცხლდი, მოვესულიერდი...

— ყურს ვუგდებდი თქვენ გატაცებულს ლაპარაკს, აღტაცებით ვეგებებოდი თქვენს რწმენას, რაინდობას და თქვენმა დიადმა მიზანმა, მისწრაფებამ გამიტაცა, გული ამიტოკა. აი, სად არის მიზანი ცხოვრებისა-მეთქი,—ვამბობდი მე,—აი, სად ვპოვებ სიმშვიდეს, იმ დაკმაყოფილებას, რომელიც ჩემს გულს სწყუროდა!—მთელი ჩემი სული, გული და ფიქრი ამ საქმეს მივეცი...

ქალი ისევ შეჩერდა, შუბლზე ხელი გადისვა და თავი უფრო ძირს დახარა.

— მაგრამ,—განაგრძო იმან სუსტის ხმით,—გავიდა დღეები, თვეები და... ჩაქრა ჩემში ეს ალიც. რაღაცა სიმძიმე ვიგრძენ, გული დამეხურა... აქაც მოვტყუვდი!..

ყმაწვილმა კიდევ გაკვირვებით შეხედა. ის არ მოელოდა ამას. ქალი არ უყურებდა. თვალებსა და მოძრაობაში ყმაწვილს გულ-მოსულობა დაეტყო, უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ თავი შეიკავა და ხმა არ ამოუღია.

— და, აი, აქედან იწყება ჩემი უბედურება განაგრძო ქალმა,—ვიგრძენ, რომ სუსტი ვარ ამ საქმისთვის, ესეც რომ არ იყოს, ამ გზით სვლა ისე, რომ უკან არ მოვიხედო, არავინ და არაფერი არ შევამჩნიო, მე... ვერ შევძელ.

— თავადიშვილის სისხლმა იჩინა თავი?—გესლიანად წარმოსთქვა ყმაწვილმა.

— არა!.. ქალის... სისხლმა იჩინა თავი!—დაბალის ხმით უპასუხა ქალმა.

ყმაწვილ კაცს არაფერი ესმოდა.

— ჩემთვის სულ ერთია, რაც უნდა იფიქროთ ჩემზე,—აუმაღლა ხმა ქალმა,—მე მინდა სინამდვილე ვაღიარო. ამას თქვენ ვერ გაიგებთ, გაიცინებთ, შეგეზიზღებათ ჩემი ლაპარაკი, მაგრამ მე მაინც ვიტყვი: ერთის გზით თვალდახუჭული სიარული მე არ შემიძლიან. არ შემიძლიან უარვჰყო ყველაფერი--ადამიანი, ცხოვრება, ბუნება, მათი კანონები! თქვენ ერთი გწამთ: ადამიანი და... მისი კუჭი. დანარჩენი თქვენთვის უმნიშვნელოა, ყურადღების უღირსი, მე კი... სხვა რომ არაფერი ვსთქვა, ქალი ვარ! გულზე მაწევს, მაღრჩობს ეს ფანატიზმი, ჯიუტობა, ეს ფორმულები, ჭეშმარიტებანი, ეს შეუსრულებელი მისწრაფებანი! ღმერთო, ღმერთო, ვგრძნობ, რომ გეზიზღებით, მზადა ხართ ამ წუთში ჩამქოლოთ, მაგრამ მითხარით, ჩამაგონეთ— სხვა არაფერი აღარ არსებობს ჰკუჭისთვის? ხომ აქვს სხვაგვარი მოთხოვნილება სულს, სხეულს, ჰკუჭს?! ხომ სჭირია მათ დასვენება, სხვაგვარი ვარჯიშობა, ხანდახან ხომ სჭირია სასიამოვნო ხმის გაგონება, თვალისთვის სასიამოვნო სურათების ხილვა, სიცილი, მხიარულება?! განა ეს მეტია ადამიანისთვის, განა მის ღირსებას არ შეეფერება?

ქალი დადუმდა. გავიდა რამდენიმე წამი.

— ჰოო, აი, რაში ყოფილა საქმე!—გაიღიმა ყმაწვილმა და პაპიროზს მოუკიდა.

არც ერთს მათგანს კარგა ხანს კრინტი არ დაუძრავს. მთვარემ მაღლა აიწია და სოფელი გაანათა, არე-მარე ღრმა ძილში იყო წასული, ფხიზლობდნენ მხოლოდ სოფლის ძაღლები, რომლებიც დრო-გამოშვებით ხმამაღლა ყეფდნენ. მდინარის შხუილი უფრო გარკვევით ისმოდა. ეს ის ღამე იყო, რომელიც ადამიანის გულს [illegible] აგრძნობინებს მისს სიფუქსავეს, სისაძაგლეს, ცხოვრების [illegible] ფილებს [illegible] სული [illegible] ამაღლდე, [illegible] ბუნებისა, [illegible] ულონობის და [illegible] ისევ ხალხში გაერიო, ისევ [illegible].

ხის [illegible] ისინი [illegible] დნენ, მხოლოდ ახლა მთვარე [illegible] მათ, გაფითრებულ ქალს სახეზე სევდა [illegible] და, სევდა [illegible]. რაღაცას [illegible] შვილს [illegible] გაეწყვიტნა!..

გაიარა ნახევარმა საათმა. [illegible] ქალმა თავი მაღლა აიღო, [illegible] ნელა, [illegible] საჩქარო [illegible].

მამა [illegible] გრილმა [illegible] სველდ [illegible].

ორიოდე [illegible] მოსი. [illegible] მიუბრუნდა:

— [illegible] დაინახა [illegible] გზნებუ [illegible]

— [illegible]

— არაფერი... [illegible]—ოდნავ წამოილუღლუღა მან.

— [illegible]

— მე მინდა კიდევ ცოტა ხანს დავრჩე. წადით თქვენ... თუ გინდათ.

ომის შემდეგ მოგვცემენო, როდესაც საქმე გათავებული იქნება.

ტოკიო, 26 მაისი. ოფიციალური. დილის 11½ საათ. 24 მაისს, 160 კაცისაგან შემდგარი რუსის რაზმი გაემართა სუმიაცსუს, რომელიც მდებარეობს ვეირანცუმინის აღმოსავლეთით ასი კილომეტრის მანძილზე. იაპონელები გაემართნენ რუსების წინააღმდეგ სუმიაცზეს ჩრდილოეთით მდებარე გორაკიდან. რუსებმა დაიხიეს ნენულისკენ, რომელიც მდებარეობს კეიუანპუმინის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით შვიდი მილის მანძილზე. დავკარგეთ ერთი სალდათი და ორი ცხენი. დანარჩენი ყველაფერი უცვლელად არის. მოწინავე რაზმებს ხანდისხან შეტაკება მოსდით.

მანილა, 26 მაისი. ენკვისტმა პეტერბურგიდან ბრძანება მიიღო, მანილაში ამერიკის მთავრობის გამგეობაში დარჩი და გემები შეაკეთებინეო. ტრეინმა განუწესა რუსეთის გემებს ადგილი და აფიცერთა და მეზღვაურთ შენახვა-საზრდოობა.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4-ზე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

უცხოეთის პრესსის აზრი ცუსიმის ბრძოლისა და ზავის შესახებ. იაპონელების გამარჯვებას მთელი ლონდონი გაუხარებია, როცა გაიგეს, რომ იაპონიის ფლოტს ხიფათი ასცდა, თავისუფლად ამოისუნთქეს. ინგლისელებს იმდენად იაპონელების გამარჯვება არ გაუხარდათ, რამდენადაც ზავის ჩამოგდების მოახლოვება (ნ.).

„მორნინგ პოსტი“ სწერს: თუ რუსეთმა კერპობა არ გაათავა, იაპონია ერთხელ და ათჯერ კიდევ გაანადგურებს იმის ჯარსა და ბოლოს მთელ ციმბირსაც წაართმევს. გაზეთი ზავის ჩამოგდებას ურჩევს რუსეთს (ნ.).

„სტანდარტი“ სწერს: ერთი წლის წინად რუსეთის ფლოტს მესამე ადგილი ეჭირა მთელ ქვეყანაზე, ეხლა კი უცებ მერვე ადგილზე გადასკუპდა. ამ ომში ყველაზე მეტი ჩინეთმა მოიგო; მისი ახალი და ძლიერი მფარველი—იაპონია ევროპის არც ერთ ავაზაკს ჩინეთის გაძარცვის ნებას არ მისცემს (რ.).

„ნ. ფ. პრ“. სწერს: რუსეთის ფლოტი დიდის ხნით მოისპო. რუსეთმა ერთ დღეს დაჰკარგა თავის პირველობა და სახელი. ეხლა რუსეთი ისეთ უბედურ მდგომარეობაშია, რომ ზავის ჩამოგდების მეტი არაფერი დარჩენია. ამას მოითხოვს ჭკუაცა და გონებაც. უბედურება იმაშია, რომ რუსეთი უჭკუობისა და უგუნურობის ქვეყანაა“ (ნ.).

იტალიის ოფიციალური გაზეთი „პატრი“ აცხადებს, ომის გაგრძელება რუსეთის მხრივ უგუნურებაც არის და სისასტიკეცა. მთელი იტალიის პრესსა ადგია ამ აზრსა, ამასვე აცხადებს მთელ ქვეყნისა და რუსეთის პრესსაც, მაგრამ... ზავი ჯერ კიდევ შორს არის. „ეკო დე პარის“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ცარსკოე სელოში მინისტრებისა, დიდ მთავრებისა და სენატორების კრება მოხდა. ვიტტემ პირდაპირ და გადაჭრით განაცხადა, რუსეთს დიდი საფრთხე მოელის და გირჩევთ ეხლავე ზავი ჩამოაგდოთო. ბოლოს მინისტრებმა, დიდ მთავრებმა და სენატორებმა გადასწყვიტეს: ომი უეჭველად უნდა განვაგრძოთ, შინ საჭირო მშვიდობიანობა ჩამოვაგდოთ და ფულიც ვიშოვოთ სადმეო (რ. ვ.).

„ფოს. გაზ.“-ს ვენიდან ატყობინებენ: რუსეთის ელჩმა განაცხადა, ზავის ჩამოგდების იმედი ნურავის ექნებაო. რუსეთს იმდენი ჯარი ჰყავს, რომ როჟესტვენსკის ფლოტის განადგურებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; გარდა ამისა, რუსეთი იაპონიას კონტრიბუციას არადროს არ მისცემს (რ.).

„ლაფ. საავ.“-ს სიტყვით ცარსკოე სელოდან პეტერბურგს დაბრუნებულს თავ. ვასილჩიკოვმა განაცხადა, როჟესტვენსკის დამარცხებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: მთავრობამ იმ თავითვე გადასწყვიტა იაპონიის დამარცხება და დაამარცხებს კიდევაც (რ.).

რუსეთის ელჩს ვაშინგტონშიაც გამოუცხადებია, რუსეთს ზავი არ უნდა; ჩვენ იმ დრომდის ვიომებთ, სანამ საბოლოოდ არ გავიმარჯვებთო (რ.).

იაპონელების აზრი ზავის შესახებ. პარიზიდან „ბირჟ. ვედ“.-ს დეპეშით ატყობინებენ: იაპონიის ელჩს ჰკითხეს, რა პირობებით შეურიგდება იაპონია რუსეთსაო. ელჩმა მიუგო: რუსეთმა იაპონია და საფრანგეთი კინაღამ გადაჰკიდა. ამიტომ საფრანგეთს არ შეუძლიან რუსეთსა და იაპონიას შუამავლობა გაუწიოს, რადგან, იაპონიის ფიქრით საფრანგეთი მიუდგომელი არ იქნება. ესეც რომ არ იყოს, ზავზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. რუსეთი დამარცხდა და ზავიც რუსეთმა უნდა მოითხოვოს. იაპონია კი თავისას განაგრძობს და ისე მოიქცევა, როგორც სურს (ნ.).

„რუს“-ს პარიზიდან ატყობინებენ დეპეშით: ინგლისელები და ამერიკელები ცდილობენ იაპონიის პირობები გაიგონ. ინგლისმა და ამერიკამ დაადგინა: პრინციპიალურად კონტრიბუცია საჭიროა. იაპონია დაიჭერს ვლადივოსტოკსა და სახალინს იმ დრომდის, სანამ რუსეთი კონტრიბუციას გადაუხდიდეს და სხვა პირობებს აასრულებდეს. ინგლისი და ამერიკა რუსეთს თავმდებად დაუდგებიან, რომ ახლო მომავალში რუსეთმა შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობა არ დაარღვიოს (რ.).

იაპონიის მთავრობამ ამერიკისა და ინგლისის მთავრობებს აცნობა, სანამ რუსეთი თავის დამარცხებას არ აღიარებს და კონტრიბუციის გადახდაზე თანხმობას არ განაცხადებს, იაპონია ზავის შესახებ კრინტსაც არ დასძრავსო და ომს უფრო მეტის მხნეობითა და ენერგიით განაგრძნობსო (ო. ნ.).

როჟესტვენსკის დამარცხების მიზეზი. საფრანგეთის საზღვაო მინისტრად ნამყოფმა, ადმირალმა ლოკრუამ ერთი წერილი დაბეჭდა, რომელშიაც ამბობს: რადგან რუსეთის ფლოტი დამარცხდა, ამიტომ შესაძლოდ მიმაჩნია გამოვამჟღავნო ერთი საიდუმლოება, რომლის დამალვა დღეის იქით საჭირო აღარ არისო. ლოკრუა სწერს: როჟესტვენსკის მეზღვაურთა ნახევარმა ზღვა პირველად მხოლოდ მაშინ დაინახა, როცა ლიბავაში გემებზე დასხეს და ბრძოლის ველზე გაისტუმრეს. აფიცრები ხომ სულ გამოუცდელნი იყვნენ. მრავალი მათ შორის ცხენოსანი იყო და უნაგირიდან პირდაპირ გემზე გადაჯდა (რ.).

„დეილი ტელეგრაფს“ ატყობინებენ: რუსები ბრძოლის დასაწყისშივე დაიბნენ და აირივნენ. უფროსის ბრძანებას უმცროსები ყურს არ უგდებდნენ. ამას არც ტყვე რუსები მალავენ და პირდაპირ აცხადებენ,—ბრძოლა არ გვინდოდა და აკი არც ვიბრძოლეთო. გარდა ამისა, იგივე ტყვე მეზღვაურები ამბობენ: იაპონელები ისე სწრაფად და მედგრად მოგვესივნენ, ისე მოულოდნელად დაგვერივნენ, რომ ყველას თავზარი დაეცა (ნ.).

„ნ. ფრ. პრ“. სამხედრო მიმომხილველის აზრით, როჟესტვენსკი შემდეგ მიზეზების გამო დამარცხდა: 1) მეზღვაურები მოუმზადებელნი იყვნენ; 2) უფროსები უმცროსებს ხელმძღვანელობას ვერ უწევდნენ; 3) მეზღვაურები ბრძოლის გუნებაზე არ იყვნენ და 4) უმცროსებს უფროსების ჯავრი სჭირდათ (ნ. დ.).

„მორნ. პოსტს“ ატყობინებენ: ცხადია, რომ ბრძოლის დროს მატროსები აჯანყებულან, თორემ ოთხ გემის დანებება სხვა ვერაფრით აიხსნებაო (ნ.).

რუსების ზარალი. დღემდის ბრძოლის ველზე დახოცილნი სულ საშუალო და დაბალ ხალხს ეკუთვნოდნენ, ამიტომ მხოლოდ პროვინციელნი და საშუალო კლასები დარდობდნენ, ეხლა კი ბობოლების ჯერიც მოვიდა. როჟესტვენსკის ესკადრაზე ოფიცრები სულ არისტოკრატები იყვნენ. მაგალითად, „ალექსანდრ III“-ის ოფიცრები სულ გვარდიელები იყვნენ; ამ გვარდიაში შესვლა კი მხოლოდ ხელწიფის ნებართვით შეიძლება (ნ.).

ღალატი. საზღვარ გარედ დაჟინებით ამბობენ, რუსეთის მატროსებმა აფიცრების ჯავრის ამოსაყრელად შუა ბრძოლაში ბრძოლაზე ხელი აიღესო. „ტაიმს“-ს ტოკიოდან, ატყობინებენ: იაპონელებმა დაიწყეს თუ არა იერიში, რუსებს სულ თავზარი დაეცათ. დანამდვილებით ცნობილია, რომ ერთი გემის მატროსები ბრძოლის დროს აჯანყდნენ, რადგან როჟესტვენსკის ჯავრი სჭირდათ. ამ მატროსებმა ჩინეთის ზღვაშივე დაიწყეს ღელვა, მაგრამ როჟესტვენსკი დაემუქრა, დაგხვრიტავთო, და მატროსებიც ჩაჩუმდნენ, გულში ჯავრი ჩაიყოლიეს და სამაგიერო რუსეთის ადმირალს ბრძოლის დროს გადაუხადეს (ს. ო.).

ახალი ამბავი

ტფილისში, რუსულ ენაზე, ერთის ახალის გაზეთის **გამოცემის ნებართვას კიდევ თხოულობენ**. რედაქტორად იქნება მ. ვ. მაჩაბელი, გამომცემლად გორის მაზრის თავ.-აზნ. წინამძღოლი თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილი.

◆ „კავკ.“-ს **ერევნიდან შემდეგის შინაარსის დეპეშა მიუღია**: გუშინ, მთელი დღე და ღამე ქალაქში თოფის სროლა იყო. ორჯელ დააპირეს ბაზრის გადაწვა, მაგრამ დროზე შეაჩერეს. დღეს სომხებმა ერთის მაჰმადიანის სახლს ორი ყუმბარა ესროლეს, სახლი დააზიანეს, შესცვივდნენ და დახოცეს ათი მაჰმადიანი—კაცი, ქალი და ბავშვი. ამას გარდა, მძიმედ დასჭრეს სამი, სახლი გაძარცვეს და, ყაზახები რომ მივიდნენ, გაიქც-გამოიქცნენ. მოკლულია სტრაჟნიკი. გუბერნატორმა წესიერების აღდგენა გარნიზონის უჯროსს, გენერალ შვედოვს, ჩააბარა

◆ ერევნიდან გვატყობინებენ: 24 მაისს, ასზე მეტია მოკლული და დაჭრილი. ყველა დუქნები დაკეტილია. ეს საშინელი ჟლეტა ხოცვა გადავიდა სოფლებსა და დაბებში. ჯარი არ არის საკმარისი. ადგილი აღარ არის, რომ არ ისროდნენ რევოლვერებს. 25 მაისი, ისევ ისე საშინელი სროლაა. არ შეიძლება დაწვრილებით გაგება, რამდენია მოკლული. დილის 6 საათზე ერთის თათრის სახლში შეაგდეს ყუმბარა. მოკლულია რვა, დაჭრილია 2. მდგომარეობა საშინელია. ეს არის ახლა მივიღეთ ცნობები—აუარებელი თათრობა მოდის ერევანზეო. 25 მაისიდან ქალაქში სამხედრო წესი გამოაცხადეს. კაზაკმა მოჰკლა თათარი, რომელიც არ დაემორჩილა მის ბრძანებას, მოჰკლა აგრეთვე ერთი სომეხი. ამ გარემოებამ, როგორცა სჩანს, იმოქმედა და ჯერ-ჯერობით სიწყნარეა. მხოლოდ სოფლებიდან ცუდი ამბები მოდის. 26 მაისმა მშვიდობიანად ჩაიარა, აუარებელი მგზავრები მიდიან. ეს მგზავრები ჯარის დახმარებით მიდიან სადგურზე.

◆ **სად. ულუხანლუ**. 25 მაისს **თათრების ბრბო დაეცა რკინის გზის** საწყობს და უნდოდა გაეძარცვათ, მაგრამ გავლენიან თათრებმა განზრახვაზე ხელი ააღებინეს.

◆ **იქიდანვე გვწერენ:** 25 მაისს რამდენიმე ასი შეიარაღებული თათარი ერევნისკენ წავიდა, მაგრამ გავლენიანმა თათრებმა შეაჩერესო. 26 მაისს სოფელ კამარლუში ისევ ასტყდა საშინელი სროლა და ჟლეტა-ხოცვა.

◆ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე, **გენერალი მალამა, ოლქის ინტენდანტ გენერალ აგაპეევთან ერთად**, 23 მაისს, სხვათა შორის, ათვალიერებდა სახაზინო ფეხთ-საცმელების სახელოსნოს. ყველა მანქანა ერთად აამოძრავეს. ერთს ჯარის კაცს ჯოხით უნდოდა მანქანის თასმა მეორე ადგილას გადაეტანა, მაგრამ უხერხულად მოუვიდა და ჯოხის გამოღება ვეღარ მოასწრო. მანქანის სიახლოვეს იდგა გენერალი აგაპეევი, რომელსაც ჯოხი მძლავრად მოხვდა თავში და გაუტეხა. ხოლო მის გვერდზე მყოფს გენერალ მალამას ასხლეტილი თასმა თავში მოხვდა და იმასაც თავი ოდნავ გაუტეხა. გენერალ აგაპეევის ჭრილობა საშიში არაა. (კავკ.).

◆ ქართულად ითარგმნა და ამ დღეებში დაიბეჭდება **ა. ბებელის წერილი „დედაკაცის მდგომარეობა აწმყოსა და მომავალში“**.

◆ გადმოგვცემენ, რომ სოფ. **კარმარლუში** (ერევნის გუბ.) 25 მაისს სომხებსა და თათრებში შეტაკება დაიწყო. **რამდენიმე კაცი მოუკლავთ.**

◆ ხმა დადის, რომ ქუთაისის გუბერნატორად ინიშნება კ. სტაროსელსკი, ბაქოსა—გენერალლეიტ. თავ. ი. ორბელიანი და ბათუმისა—გენ. ფონ-პარკაუ.

◆ ტფილისში ჩამოვიდა უსახელო საზოგადოების **მთავარი წარმომადგენელი ბ. ფაინი** და ტრამვაის მოხამსახურეებთან მოლაპარაკება დაიწყო. არჩეულ მედიატორებმა განაცხადეს, ამ შემთხვევაში სამედიატორო სასამართლოს განაჩენს კანონიერ ფორმას ვერ მივცემთ და ამიტომ სასამართლო მიზანს ვერ მიაღწევსო. ამის გამოისობით ორთავე მხარემ სამედიატორო სასამართლოს თავი გაანება **და პირდაპირ უკვე შეთანხმდა.**

◆ სამინისტრომ ნება დართო, რომ რკინის გზით ნახიჩევანში ღარიბ მცხოვრებლების დასარიგებლად ფქვილი **მუქთად იქმნეს გადატანილი.**

◆ ის ზარალი, რომელიც მუხრანის მემამულეებს მიაყენეს გლეხებმა ტყის გაჩეხითა თუ სხვაგვარ მოქმედებით, **დუშეთის მაზრის ადმინისტრაციას შეუფასებია:** ზარალი ესტატე და გრიგოლ მუხრანსკებისა 700 მანეთად, საუფლისწულო მამულებისა—600 მანათად. თავ. მუხრანსკებმა გლეხებს თავისი ზარალი აპატიეს, საუფლისწულო მამულების გამგეობა კი კაზაკების საშუალებით ახდევინებს.

◆ სამშაბათს, 31 მაისს, დანიშნულია ქალაქის **სამოსწავლო კომისიის კრება,** რომელმაც, გარდა მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვისა, უნდა განიხილოს საკითხი პარარელურ კლასების დაარსების შესახებ.

◆ პირველ ივნისისათვის **დანიშნულია კრება** „ვაკეს“ მემამულეთა და სახლის პატრონთა, მის ქალაქთან შემოერთების შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ ქალაქის გამგეობა შუამდგომლობს გუბერნატორის წინაშე, რომ ქალაქის განათების მეთვალყურეთ **ნება მიეცეთ იარაღის ტარებისა.**

◆ ამიერ-რკინის გზის სამმართველოს უფროსს ნება მიეცა **უკანტროლოდ მოიხმაროს** 68,680 მანათი.

◆ გუშინ, 27 მაისს, ტფილისში დილის 12 საათიდან თითქმის **ყველა დუქნები და მაღაზიები დაჰკეტეს** იმის გამო, რომ ერთერთ მოვაჭრეს დუქანი აუწერეს სადგომის ორის თვის ქირაში. ხმები დადის: ვიდრე ბინის პატრონებს ნახევარ ქირას არ დააკლებენ, დუქნებს არ გააღებენო.

◆ ხუთშაბათს, 26 მაისს, სტუდენტთა საამხანაგო რჩევამ, რომელსაც 30 სტუდენტი დაესწრო, **განიხილა საქმე** ტირძნისის მემამულის **სტუდენტის ნ. სულხანოვისა.** რჩევამ მოუსმინა სტუდენტს თავისი გასამართლებელი საბუთები და საბოლოო რეზოლუციის შემუშავება ხუთ კაცს მიანდო.

◆ ბაქოს გუბერნატორის **თავ. ნაკაშიძისაგან ნაანდერძევი წიგნები და ნივთები** უკვე მიიღო ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიამ.

◆ დღეს, 28 მაისს, მცხეთას **მიემგზავრება მცხეთის ტაძრის განმანახლებელი კომიტეტი,** რომელმაც უნდა შეაფასოს ტაძრის შეკეთება. დღევანდლამდის შესაკეთებლად მოუგროვებიათ 90 ათასი მანათი, სულ კი სჭირია 120 ათასი.

◆ როგორც კავკასიის უმაღლესს მთავრობას ატყობინებენ, **სახელმწიფო საბჭოს გადაუწყვეტია, გამოისყიდოს კავკავის რკინის გზა.** რკინის გზასთან მოლაპარაკება მიენდო მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს—ვიტტეს.

◆ როგორც ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს ეცნობა, პირველ ივნისს **გზათა სამინისტროში დანიშნულია ინჟენერთა თათბირი** ტფილისისა და ნავთლუღის სადგურების გადაკეთების შესახებ. აქედან დასასწრებლად გაიგზავნა ინჟ. ნ. ს. ზურაბოვი.

◆ ფარსადანოვის ფეხსაცმელების მკერავთა **გაფიცვა** უკვე დასრულდა. ზოგიერთი მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილა ფარსადანოვმა.

◆ რედაქციამ მიიღო **საყმაწვილო ნახატებიან ჟურნალ „ჯეჯილის“ მე-V ნომერი.** ჟურნალი შემდეგის შინაარსისაა: 1) ფერხული—ფერადი სურათი; 2) ყველას თავისი—ლექსი კოჩოსი; 3) მტრედი და კატა (რუსულიდან).—ტასოსი; 4) კატოს დედოფალა (თარგმანი)—კნ. ან. ამილახვრისა; 5) შაშვის ბუდე—ფრ.-სი; 6) ობოლი მოლლი (დასასრული)—ვ. მიქაბერიძისა; 7) ანდაზა, გამოცანა და სხვა; 8) გაზაფხულის დილა (ლექსი)—სოლ. გ—ძესი; 9) მეფის რაში (ზღაპარი)—ალ. ყაზიბეგის ხელნაწერიდან; 10) გიჟი ლიახვი (ამბავი)—ეკ. გაბაშვილისა; 11) რუსის დესპანობა მე-XVII საუკუნეში—ალ. სარაჯიშვილისა 12) ფიზიკური გეოგრაფია—პროფესორ გეიკისა—სან-ინისა. 13) წერილი რედაქციის მიმართ; 14) წვრილმანი: ანდაზა, აკროსტიხი და სხვა.

◆ **სად. ბათუმი**. 25 მაისს, დილის 9 საათსა და 40 წუთზე, მე-93 ვერსზე, ტორმოზის კანდუქტორი ანტონ ბალაძე გადმოვარდა მატარებლიდან და დაშავდა.

◆ **სად. აქსტაფა**. 23 მაისს, საღამოს 5 ს., მე-41 ვერ. რკინის გზის ლიანდაგის დარაჯს ჰუსეინ-ოღლის მეურმემ, რომელსაც უნდოდა ლიანდაგზე ურმის გადატარება, ხანჯლით მარცხენა ხელი მოსჭრა.

◆ სოფელ საქაშეთში, სადაც ყოველთვის დიდის ამბით დღესასწაულობდნენ ხოლმე ამაღლება დღეს, წელს არავითარი ამბავი არა ყოფილა: წირვაც-კი არ დაუყენებიათ.

ქუთაისის ცხოვრება

ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე ქალაქის საქმეების გამო ტფილისს გაემგზავრა, სადაც ორ-სამ დღეს დაჰყოფს.

— არც 22 მაისს შესდგა მამულების ცეცხლისგან დამზღვევ საზოგადოების წევრთა კრება, რადგან გამგეობისადმი უმარკოდ წარმოდგენილი ვექილობანი უკანონოდ იქმნა ცნობილი. ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია გამგეობისადმი. საქმე იმაშია, რომ ხსენებული საზოგადოება ათ წელზე მეტია, რაც არსებობს და ამ ხნის განმავლობაში დღემდის გამგეობას ერთხელაც არ მოუთხოვნია წევრთაგან ვექილობებზე გერბის მარკების დაკვრა. არჩევნების წინა დღემდის არც წელს უფიქრიათ მარკებზე; არჩევნების წინ კი გამგეობის ერთს წევრს, რომელსაც წელს თურმე კენჭი უნდა უყარონ და ძლიერი მოწინააღმდეგე კანდიდატებიც აღმოსჩენია, გამოუჩხრეკია ძველის-ძველი კანონები და ხელი უტაცნია წესდების ერთ მუხლისათვის, რომელიც თხოულობს თურმე, რომ გამგეობისადმი წარმოდგენილ ვექილობებს გერბის მარკები ეკრას. მეტად სამწუხაროა, რომ ჩვენს საზოგადო საქმეების სათავეში მყოფ პირთ მხოლოდ მაშინ ახსენდებათ წესი და რიგი, როდესაც ეს მათი პირადი ინტერესებისათვისაა საჭირო, ისე კი ხან „აბრუნდი“-ს უშვრებიან წესდებას და ხან „გაბრუნდი“-ს. თუ ამით არა, მაშ რით უნდა ავხსნათ, რომ ათი წლის განმავლობაში კანონიერადა სთვლიდნენ უმარკოდ წარმოდგენილ ვექილობებს და დღეს კი ეს დიდ დანაშაულად და უკანონობად ჩასთვალეს.

— როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, ქალაქის ვექილს ი. ია. ბაქრაძეს თავი დაუნებებია სამსახურისთვის. ამ ადგილის მთხოვნელი თურმე იმდენი აღმოჩენილა, რომ ქალაქის გამგეობა, მგონი, იძულებულ გახდეს წილი უყაროს მთხოვნელებს.

— 23 მაისს, ღამის 12 საათზე, ვიღაც ბოროტ გამზრახველმა მძიმედ დასჭრა ტყვიით მოხარკე ინსპექტორი ილია მანუჩარის ძე ჩიქოვანი. საქმე ამგვარად იყო: ქალაქის თეატრში ძმანი ადელგეიმები ადგენდნენ პიესა „Казнь“-ს. როდესაც წარმოდგენის შემდეგ ხალხი დაიშალა, ი. მ. ჩიქოვანი და ექიმი ტერტეროვი ლაპარაკით ერთად მიდიოდნენ ქალაქის ბაღის ქვაფენილზე, გიმნაზიის ქუჩით. მათ წინ და უკანაც დიდი საზოგადოება მიდიოდა. როდესაც წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის კიოსკს ცოტათი ჩამორდნენ, ბაღის ხეივნიდან უცბად მოისმა რევოლვერის ხმა, რომელსაც მოჰყვა ი. ჩიქოვანის გულშემზარავი ყვირილი: „ვაიმე, მომკლესო! Помогитъ, Сергѣй Егоровичъ! умираю“-ო, ეუბნებოდა ის ექიმს ტერტეროვს. ერთი წამით თავზარდაცემული საზოგადოება გონს მოვიდა და შემოეხვია დაჭრილს, რომელსაც მუცელზე ხელები მიეჭირებინა და ბარბაცით უკან-უკან იხევდა. ტყვია მოხვედროდა წელს ზემოდ, მარცხენა მხრივ, და წინისაკენ გამოსულიყო. დაჭრილი მაშინვე თოფურიას საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც შეუხვიეს ჭრილობა. ექიმების აზრით, დაჭრილის მორჩენა ძლიერ საეჭვოა. მკვლელობის განზრახვის მიზეზი ყველასთვის გაუგებარია. ბოროტგანმზრახველის ასავალ-დასავალი კაცმა ვერ გაიგო.

— ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა კრება იყო დანიშნული 26 მაისისათვის, სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოში.

ისარი.

სადღეისო

გამოღვიძებულ ადამიანის დღიურიდან

1 მაისი.

...მე კი მეძინა, ვერაფერს ვხედავდი. თურმე ქვეყანა გამოცოცხლებულა. გამოფხიზლებული ხალხი თურმე აღარ იტანს მონობაში ცხოვრებას და იბრძვის უკეთეს მომავალისთვის. მე მხოლოდ დღეს გავიღვიძე, დღეს დავინახე ცხოვრება და სისაძაგლე. ორივემ თავისი პოზიცია დაიჭირა. ორივეს ფიზიონომია უფრო ნათლად გამოირკვა და ამიტომ ბრძოლაც უფრო ადვილი და სასიამოვნო შეიქმნა.

ერთმა მწერალმა სთქვა, თვით თავისუფლება არ არის ისეთი ტკბილი, როგორც ბრძოლა ამ უფლების მოსაპოვებლადო. სრული ჭეშმარიტებაა. მე მეძინა, სანამ არ იყო ბრძოლა, სანამ ადამიანი იხრწნებოდა და მონობის აყროლებულ ჭაობში სცურავდა, სანამ ქედ-მოხრილი ბნელ ძალების თვითნებობას მორჩილებით იტანდა.

მეძინა. ახლა-კი, როდესაც ცხოვრებამ პირი იბრუნა, როდესაც ადამიანი ამოძრავდა და დაიწყო თავისუფალი მოქმედება, მეც გავიღვიძე და მიმოვიხედე გარშემო...

კილო იყო ნაზი, მოსიყვარულე, მეგობრული. ყმაწვილს შეეცოდა იგი და მხიარულის კილოთი შეეკითხა:

— მაშ რა გინდათ?

— მე მინდოდა... სიყვა...რუ...ლი!—უპასუხა ქალმა და თვალებში ჩააცქერდა.

ყმაწვილი შეკრთა, შერცხვა და წაიბუტბუტა:

— თქვენ... სიყვარული არ გაკლიათ... ყველას უყვარხართ!..

— იქნებ, თქვენც გიყვარდეთ?!

— მეც... მეც მიყვარხართ...

— ჰმ, მეც მიყვარხარ!—გაიმეორა ქალმა მისი სიტყვები,—ვიცი, როგორც გიყვარვართ. განა არ ვიცი, რაც გიყვართ! გინდა გითხრათ? თქვენ ჩემს არსებაში გიყვართ თქვენივე ლაპარაკი, ხმის კილო, სიტყვები, თქვენივე თავი. გიყვარვართ, როგორც მსმენელი, კარგი ადამიანი. ხვალ რომ ყური აღარ დაგიგდოთ, უარ-ვჰყო თქვენი აზრები, თქვენ მე შემიზიზღებთ. ქალს კი უნდა სხვანაირი სიყვარული. ქალს უნდა დამონავებული გული მამაკაცისა, მას უნდა ალერსი, როგორც უალერსებენ ტიკინს, ძვირფას ავეჯს. მას უნდა, რომ აღმერთებდნენ და ხელით ატარებდნენ; თქვენ კი... თქვენ ქალს ყველა ეს მოაკლეთ, ქალს მიეცით სხვა როლი, სხვა საქმე. ის გიყურებს თქვენ თვალებში, რასაც თქვენ სჩადიხართ, იმასაც ის სჩადის. თქვენ მიზნად გაგიხდიათ... კუპე, ქალს ზურგი შეაქციეთ, შეხედვაც კი არ გინდათ... ისიც დაემორჩილა თავის ბედსა, ჩუმადაა და ჩუმად იტანჯება. სიყვარული სისულელეაო,—ამბობთ თქვენ,—ცოლის შერთვა არ შეიძლება, ხელს უშლისო ჩვენს იდეებს. ქალს კი ესეც უნდა და ისიც. თქვენ სწუხართ, ზრუნავთ დაჩაგრულებზე, იმავე დროს სჩაგრავთ სხვებს. თქვენ ერთს აწოდებთ პურის ნატეხს, იმავე დროს მეორეს სულიერ საზრდოს აკლებთ; თქვენა ხართ სამართლიანი? განა თქვენ ეგოისტები არა ხართ,—ცივი, უგულო, მოვაჭრე ჩარჩები, რომელსაც ფულს გარდა სხვა აღარა გააჩნია-რა?!

ქალი მძიმედ სუნთქავდა და ლაპარაკის დროს მალ-მალ ისვენებდა.

ყმაწვილმა კარგა ხანს უყურა ქალს, ბოლოს თვალებში ჩააჩქერდა და, ცოტა არ იყოს, შეშინებულმა ჰკითხა:

— თქვენ ხომ არავინ გიყვართ?!

— დიახ, მიყვარს!

— ვინ, არ შეიძლება გავიგოთ?

— სწორედ თქვენ!...

— მე?!

— თქვენ!..

— დღევანდელი თქვენი ქცევა და ლაპარაკი მაოცებს!

— იმიტომ, რომ თქვენთან დასაფარავი აღარა მაქვს-რა, ჩვენი... ერთად ლაპარაკი უკანასკნელია.

— უკანასკნელია? რათა?

— მე... ვთხოვდები!—კიდევ რიღასიც თქმა უნდოდა ქალს, მაგრამ მისს მაგივრად ცრემლები წასქდა.

— როგორ? თქვენ ეხლა სთქვით, რომ...

— მიყვარხართ, მერე რა არის?

— მერე ის არის, რომ...

— სიგიჟეა, არა?

— ეეჰ, კარგი, ბატონო კატო, სისულელის ლაპარაკს თავი დავანებოთ. მე, დიდი ხანია, აზრადა მაქვს გთხოვოთ ჩემი ცოლობა, მაგრამ მე მინდა... რადგან შეიძლება ხვალ ან ზეგ ციხეში მოვხვდე, ან უფრო შორს, ციმბირში მიკრან თავი, ასე რომ, თუ თქვენ თანახმა ხართ ამ გვარის ცხოვრებისა, გამომყევით ცოლად.

ქალმა შეიფრთხიალა, თავი მაღლა აიღო, კარგა ხანს უყურა ყმაწვილს, შემდეგ ხელი-ხელზე მოუჭირა და დაიკვნესა.

— გვიან არის, ჩემო კარგო!—ჩახლეჩილის ხმით წარმოსთქვა მან, გაშალა ხელი და ფეხებში ესროლა რაღაცა შუშა.

ყმაწვილი დასწვდა შუშას, კარგა ხანს ხელში ატრიალა, მერე ჩააცქერდა ქალს სახეში და, ელდა-ნაცემი, ფეხზე წამოვარდა.

— კატო!—შესძახა იმან.

ქალმა თვალები მაღლა აიღო.

— კატო, რას ნიშნავს ეს?—წამოიძახა ყმაწვილმა და ეცა ქალს ხელებში.

— ეხლა ხომ გესმის, რად გელაპარაკებოდი ისე თამამად?—დაბალის ხმით უპასუხა ქალმა და თავი ყმაწვილის ხელებზე დახდო.

— კატო, კატო, რა ჰქენი ეს?—მთლად დაიბნა ყმაწვილი და გაქცევა დააპირა სადღაც.

— არ მინდა არაფერი... თავი დამანებე... რამდენიმე წუთი-ღა დამრჩა... დაჯექი ჩემთან... მიგდე ყური, რა გითხრა: მე და ცხოვრება ვერ მოვრიგდით, ცხოვრებას უნდა ებრძოლო, ბრძოლას კი უნდა მაგარი გული და მიზანი. მე... მაგარი გული არა მქონდა, მიზანს კიდევ ვერ მივაღწიე... ვიფიქრე ბევრი, ვიფიქრე, ფიქრით დავიღალე და გარდავსწყვიტე თავი მომეკლა... შენთან, შენს გვერდით მომეკლა. ეს წუთიერი გარდაწყვეტილება არ არის... არა ღირს სიცოცხლე, ჩემო კარგო... უკანასკნელი წუთები მაინც დამიტკბება, მომიგონებ მაინც...

— რათა, კატო, რათა? მე მეყვარები, ჩემი ცოლი გახდები!—სასოწარკვეთილი ეუბნებოდა ყმაწვილი.

— არ გეყვარები... სიყვარული არ შეგიძლიან! იჯექ ჩემთან... მეშინიან... მარტო არ დამტოვო. რომ იცოდე, სიცოცხლე როგორ მენანება! რად მენანება? რად მეჩვენება ამ წუთში სიცოცხლე ასე სანატრელად, ეს ხომ მე, დიდი ხანია, გარდავწყვიტე!... მეშინიან... სიკვდილისა მეშინიან... მიშველე... მიშველე... არა, ნუ—წახვალ, ნუ გეშინიან.

ყმაწვილმა მოჰხვია ხელი და გულში ჩაიკრა.

— მომეხვიე. მომეხვიე, ჩემო ძვირფასო... ჩემო კარგო, მომიალერსე... მაკოცე... დამაღრჩე... აი ასე... აი, ასე... შენი ჭი...რი...მე...შენი...

ქალი თრთოდა ყმაწვილის ხელებში, როგორც დაჭრილი ფრინველი. ის ეხვეოდა ყმაწვილს, გულში ეკვროდა და, როდესაც კი ყმაწვილი დააპირებდა ხოლმე წამოვარდნას, გაქცევას, ხალხის, ქვეყნის დაძახებას, ის არ უშვებდა და გულ-აჩუყებული ეჩურჩულებოდა: არ უნდა, არა.. ასე მირჩევნიან, მომიალერსე, მაკოცე, მომეხვიე...

მამალმა მესამედ იყივლა, მთვარე დასავლეთისაკენ გადაიხარა, ნათელი დაჰკარგა და ჩასვლას აპირებდა. ბევრი ვარსკვლავი სადღაც გაჰქრა, დანარჩენები ოდნავ-ღა ბჟუტავდა, ცივი ნიავი გაძლიერდა—თენდებოდა.

ყმაწვილ კაცს ხელში ეჭირა გაცივებული გვამი ქალისა და თავზარდაცემული ზედ დაჰყურებდა. სახე გადაფითრებოდა, თვალები გადიდებოდა და მთელის ტანით ცახცახებდა.

თვალებში უფრო შიში ეხატებოდა, ვიდრე... სიბრალული.

სვ. უიფიანი.

5 მაისი.

გაზეთის კითხვა არ მიყვარდა. წინად ძილი უფრო მეხერხებოდა და გაზეთი კი სიფხიზლეს მიქადაგებდა. ქარაგმებით მელაპარაკებოდა; მე კი მეზარებოდა სტრიქონებში აზრის ძებნა და... ისევ მეძინა. ახლა კი გაზეთიც შემიყვარდა. „პეტერბურგის სატუსაღოები სავსეა ტუსაღებით“—ვკითხულობ ერთს გაზეთში.

ძალიან დამაფიქრა ამ გარემოებამ. დაიწყო თავისუფალი მოქმედება, გამოიღვიძა ადამიანმა, მოისურვა ყოველ-გვარ სისაძაგლის თავიდან მოშორება და... ამავე დროს... სატუსაღოებიც აივსო. რათა? ნუ თუ თავისუფალი მოქმედება და სატუსაღო სინონიმებია? ნუ თუ ადამიანს ნება არა აქვს ისე მოაწყოს თავისი ცხოვრება, როგორც მას ესიამოვნება და საუკეთესოდ მიაჩნია? ვინ უშლის ხელს?..

24 მაისი

,,მოსკოვსკია ვედომოსტი'' სწერს: ,,ომის სათავეშივე დაწყებული სარევოლუციო პროპაგანდა როჟესტვენსკის დამარცხების შემდეგ უფრო გაძლიერდა. საჭიროა ბოლო მოეღოს რევოლუციას. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ დიქტატურით. საჭიროა მთელს რუსეთში, ყველა განაპირა ქვეყნებში შემოღებულ იქმნას სამხედრო წესები''...

ამისთანა რამე რომ წინად წამეკითხა, მაშინ, როდესაც მეძინა, დავეთანხმებოდით, მაგრამ ეხლა, გამოღვიძების შემდეგ...

ნუ თუ მართალია, რომ შეიძლება დიქტატურით და რეპრესიულ ზომებით გამოღვიძებულ ადამიანის ჩაჩუმება. ადამიანს სწყურიან უკეთესი ცხოვრება და მხოლოდ ამ წყურვილის დაკმაყოფილების შემდეგ მოისვენებს.

დაე, იჩხავლოს ყვავმა. გამოფხიზლებული ადამიანი დააგვირგვინებს დაწყებულ საქმეს.

24 მაისი.

„მოსკოვსკია ვედომოსტი“-ს ბევრი შრომა არ დასჭირდება განაპირა ქვეყნებში სამხედრო წესების შემოღებისათვის. ამ საქმეში დიდს დახმარებას გაუწევს „თავად-აზნაურთა მილიცია“. ეს მილიცია ძირიანად ამოფხვრის დაჩაგრულ ქართველ ხალხში თავისუფლებისადმი მისწრაფებას და სამშობლოში ,,წესიერების დამყარებას“ შეუდგება.

ტყუილად ირჯება ,,მილიცია''. ავიწყდება, რომ არ შეიცვლება ბუნების კანონი, რომ ერთხელვე გამოფხიზლებულ ხალხის გაჩერება, დაბრმავება არ შეიძლება არას გზით. რომ ყოველთვის ისტორიაში ყოფილა განკითხვის ჟამი, რომ, მაშინ ყველა—გლეხი და აზნაურიც, ,,წესიერების დამრღვევი გლეხი და ,,წესიერების აღმდგენელი მილიცია'' წარსდგებიან ხალხის სამსჯავროს წინაშე და იძულებული შეიქმნებიან, მისი სამართლიანი განაჩენი მოისმინონ.

შორს აღარ არის დრო, როდესაც გამოფხიზლებული ხალხი გაარჩევს აშკარად მტერსა და მოყვარეს და მთელს თავის ძალღონეს მოიკრებს მტრის წასალეკად. მაშ, დაე იფარფაშოს ბნელმა ძალებმა! გამარჯვებული მაინც ადამიანი დარჩება!..

25 მაისი.

კიდევ ერთი ბიუროკრატიულ რეჟიმის აქტი! კიდევ ერთი შედეგი მონურ ცხოვრებისა! „დღეს, ორშაბათს, შუადღის შემდეგ, ქალაქში თათრებსა და სომხებს შორის დიდი არეულობა მოხდა. მოკლული და დახოცილი 27 კაცამდეა—სომეხი და თათარი''.

კვლავ დაიღვარა ძმათა შორის სისხლი, მაგრამ აღარ მაკვირვებს. გასაკვირველი ის იქნებოდა, რომ ასე არ ყოფილიყო...

რამდენისამე დღის წინად ერთი სიზმარი ვნახე: ერევანში ვიყავი. ამხანაგებით ქალაქის განაპირა ბაღებში ვქეიფობდი. ბნელოდა, მოღრუბლული ცა ელავდა... უცებ ჩემწინ გაჩნდა რამდენიმე ეშმაკი, მათ წინ ტარტაროზი მიუძღოდა. იმათაც მოინდომეს ქეიფი.

ცოტა ხნის შემდეგ, ტარტაროზი მომიახლოვდა და ყურში ჩამჩურჩულა: ,,ხომ ხედავ,—ესენი ჩემი ყმები არიან, რასაც ვუბრძანებ, იმას აასრულებენ. ეს შავი ეშმაკები მოგეხმარებიან, თუ გინდა ვისმეზე ჯავრის ამოყრა!.. რა გაქვს მეზობელთან საერთო, დამიჯერე ტარტაროზს, ხომ იცი, რომ მაინც შენი ბრძანებელი ვარ! მოჰკალი იგი!

გაოცებული შევყურებდი ტარტაროზს. მინდოდა რამე მეთქვა, მაგრამ საშინლად დაიქუხა, და გამომეღვიძა...

,,ქალაქში თათრებსა და სომხებს შორის დიდი არეულობა მოხდა. მოკლულია და დახოცილი 27 კაცამდე სომეხი და თათარი...''

ა. ჯ—შვილი.

პრესსა

„გრაჟდანინ“-ის რედაქტორის აზრით, საჭირო არ არის საერო კრების მოწვევის დაჩქარება. არა, საჭირო კი არა, სახიფათოც არის, რადგან დაჩქარებით თვითმპყრობელობა წააგებს და თავის უფლებებს საერო კრებას დაუთმობს. მეშჩერსკის ეშინიან,

> ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩემი წინასწარმეტყველება გამართლდეს, მაგრამ მაინც ვწინასწარმეტყველობ, რომ თუ საერო კრება ჩქარა მოიწვიეს, ეს კრება დამფუძნებელ კრებად გადაიქცევა და მთავრობას რჩევით-კი არ მიჰმართავს, არამედ მტკიცე მოთხოვნით.

მეშჩერსკის, როგორც ეტყობა, დროს იმედი აქვს: რაც უფრო მეტი დრო გავა, ხალხი უფრო და უფრო დამშვიდდება და საერო კრებაც დაავიწყდება და დამფუძნებელიცაო. თუ „პატრიოტებს'' მარტო ამის იმედი აქვთ, კიდევ კარგი. ამ იმედის გაცრუება ძალიან ადვილია.

⁂

„სლოვო“ს ბურჟი, პროფესორი ლატკინი თხოულობს, ჩქარა საერო კრება მოიწვიეთ და დაავალეთ, ახლავე, ამ წუთშივე იშოვოს ომის გასაგრძელებლად საჭირო ფული, ჯარი, გაუღვიძოს მას „პატრიოტული“ გრძნობა და ხალხიც აღაფრთოვანოსო.

> ახლა რეფორმების დრო არ არის. საერო კრებამ მხოლოდ ომისთვის საჭირო მასალა უნდა იშოვოს, საერო კრებამ იაპონიის დასამარცხებელი მანქანა უნდა მოიგონოს, მოსპოს ყოველგვარი დემონსტრაციები, გაფიცვები, აღელვება და ომს ხალხში სახელი მოუპოვოს.

აი, ნამდვილი „პატრიოტული“ ლოღიკა! საერო კრებამ აღელვებაც უნდა მოსპოს, ომსაც სახელი გაუთქვას! რეფორმები გადასდეთო,—ბრძანებს პროფესორი,—და გულუბრყვილოდ სჯერა, ვითომ ამით ვისიმე მოტყუება შეიძლებოდეს.

⁂

გაზეთ „ბაქოს“ თანამშრომელი რანე სანსი კაკვრით ეხება კავკასიის დღევანდელ ცხოვრებას და, სხვათა შორის, აღნიშნავს საქალაქო არჩევნებს, რომელიც ამას წინად განჯაში მოხდა. გაზ. „ბაქო“ სომეხ ლიბერალების ორგანოა და ამიტომ საინტერესოა გავიგოთ, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე უკანასკნელ არჩევნებით ქალაქ განჯის თვითმართველობიდან სომეხ ხმოსნების გამოძევებამ. ბ-ნი რენე სანსი სწერს:

> გაზ. „მშაკი“ საყურადღებო ცნობებს იძლევა განჯაში ქალაქის საბჭოს წევრთა არჩევნებზე. ამომრჩეველი იყო: სომეხი—224, თათარი—229 და რუსი—5. კენჭი იყარა: 60 სომეხმა და 52 თათარმა, ბოლოს არჩეულ იქმნა: სომეხი—5, თათარი—50 და რუსი—0.
>
> როგორც ხედავთ, შედეგი მოულოდნელი, ტენდენციური, უსამართლო და ერთის ეროვნების დამჩრდილავი და დამჩაგრელიაო,—

გულის წყრომით ამბობს ბ-ნი რანე სანსი.

გაზ. „ბაქოს“ შეწუხება ადვილი გასაგებია, ვინაიდან თათრებმა განჯაში ექსორია უყვეს სომხებს და საბჭოს თვითონ დაეპატრონენ. საინტერესო ესაა, რომ ამ გაზეთმა არჩევნების ასეთი შედეგი უსამართლობად სცნო მხოლოდ მაშინ, როცა ამ „უსამართლობის“ მსხვერპლნი სომხები შეიქმნენ, და არას დროს ფიქრად არ მოსვლია ისევე უსამართლობად დაესახა ქართველების გამოდევნა ტფილისის საბჭოდან. ის, რაც ტფილისში სამართლიანობაა, განჯაში უსამართლოდ გადაქცეულა...სწორედ ამაზე ითქმის:

ასე ჩემო მანასეო,
ხან ისე და ხან ასეო.

რუსეთი

პეტერბურგის **მუშებს ისევ დაეტყოთ მღელვარება.** თუმცა როჟესტვენსკის ფლოტის დამარცხებამ დიდად არ იმოქმედა პეტერბურგის მუშებზე, მაგრამ მაინც დაიწყეს კრებების მართვა, რეზოლუციების წერა და გაფიცვის შესახებ აგიტაცია (რ.).

◆ 16 მაისიდან 20 მაისამდე პუტილოვის ქარხანა პეტერბურგში არ მუშაობდა. მუშები **გაიფიცნენ.** ქარხანა კაზაკებითა და სალდათებით სავსეა. რამდენმამე ასმა მუშამ მოინდომა მუშაობის დაწყება, მაგრამ კაზაკებმა ქარხანაში არ შეუშვეს. 20 მაისს ქარხნის დირექტორმა განაცხადა, დღეიდან ყველა მუშები დათხოვნილი არიან და ქარხანაც იკეტებაო (ნ. ქ).

◆ 18 და 19 მაისს **პეტერბურგის მუშებს რამდენიმე დიდი კრება ჰქონდათ.** კრებამ დაადგინა, დაუყოვნებლივ ომის შეჩერება და დამფუძნებელ კრების მოწვევა მოვითხოვოთო (ს. ო.).

◆ 28 აპრილს რუსეთის მთავრობამ ნება დართო, რომ პოლონეთში პოლონურ ენაზე იგზავნებოდეს დეპეშები; 18 მაისს კი ეს ნებართვა უკანვე წაიღო და ბრძანება გასცა, **პოლონურ ენაზე დეპეშებს ნუღარ მიიღებთო** (რ. ს.).

◆ ოდესსაში განთქმული ,,პატრიოტი'', გენერალი ბაგდანოვიჩი ჩასულა და თან მუშებისთვის ერთი ვაგონი ,,პატრიოტული'' ბროშურები ჩაუტანია. მაგრამ გენერალს ბედმა უღალატა: რომელ ქარხანაშიაც კი მივიდა, **ყველგან მუშები საშინელის სტვენითა და ყვირილით დაუხვდნენ.** გენერალი იძულებული იყო უკან დაეხია. 60 ათას წიგნაკიდან მხოლოდ 6 ათასი დაარიგა, დანარჩენი უკანვე წაიღო. ამ წიგნაკების დასაბეჭდათ მთავრობა გენ. ბაგდანოვიჩს ყოველ წლივ 150 ათას მანეთს აძლევს (რ. ვ.).

◆ პოლიციის დეპარტამენტს უნდა ენატანიობისა და საიდუმლო **პოლიციის ხრიკები** უფრო დაწვრილებით შეისწავლოს. ამისათვის ზემოხსენებული დეპარტამენტი იტალიასა, საფრანგეთსა, ინგლისსა და გერმანიაში მრავალ აგენტებს გზავნის რომელთაც **ადგილობრივ უნდა შეისწავლონ საიდუმლო პოლიციის ხრიკები** (რ. ვ.).

◆ **პრესსის თავისუფლება.** ,,სინ ოტეჩესტვოს'' რედაქცია აცხადებს: ჩვენი გაზეთის მე-80 ნომერი ,,ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზისა გამო მკითხველებს ვერ ურიგდება, თუმცა ნომერი დაბეჭდილია“. (ს. ო.).

◆ რუსეთის მთავრობას როჟესტვენსკის ფლოტის განადგურების შემდეგ საზღვარ გარედ ფულის სესხება უნდოდა, მაგრამ იქ ისეთი უარი უთხრეს, რომ დღეის შემდეგ **რუსეთს საზღვარ გარედ ფულის შოვნის იმედი აღარა აქვს** (რ. ვ.).

◆ პეტერბურგის ,,პატრიოტულმა'' საზოგადოებამ ცუსიმას ბრძოლის წინა დღეს **შეადგინა სია 3,000 ლიბერალისა და რევოლუციონერისა,** წარუდგინა საიდუმლო პოლიციის დეპარტამენტს და სთხოვა, ეს ხალხი სასტიკად დასაჯეთ, და ამისთანა სიას ხშირ-ხშირად მოგაწოდებთო. ზემოხსენებულ ,,პატრიოტულ'' საზოგადოებაში მრავალი ბობოლა მოხელე და ბიუროკრატი ირიცხება (რ. ვ.).

◆ რუსეთის მრეწველთა წარმომადგენლებს ფინანსთა მინისტრის კოკოვცევის კომისიაში განუცხადებიათ: რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ **ამჟამად ვერავითარი კანონები ვერ დაამშვიდებს მუშებს,** ამიტომ კომისიაში მუშაობაზე უარს ვამბობთ და კომისიიდან გავდივართო (ს. ო.).

◆ ცუსიმას ბრძოლის მეოთხე დღეს პეტერბურგში ერნესტის რესტორანში შემდეგი ამბავი მოხდა: სადილის დროს წამოდგა ვიღაც უცნობი, **მიუბრუნდა იქვე მყოფ გვარდიისა და საზღვაო აფიცრებსა და აღფრთოვანებული სიტყვა წარმოსთქვა ესკადრის დაღუპვის გამო.** უცნობი იწვევდა აფიცრებს საბრძოლველად იმათ წინააღმდეგ, ვის მეოხებითაც რუსეთი ასეთ დღეში ჩავარდა. გვარდიის აფიცრები რესტორანიდან გავიდნენ, საზღვაო აფიცრებმა კი ორატორი ტაშის კვრით დააჯილდოვეს (ნ. ქ.).

◆ ის ნაღმოსნები, რომელნიც ცუსიმას **ბრძოლაში დაიღუპნენ,** ნევის ქარხანამ შარშან ააშენა და საზღვაო უწყებასაც შარშანვე გადასცა. 17 მაისს, ე. ი. სამი დღის შემდეგ ამ ნაღმოსნების დაღუპვისა, საზღვაო დეპარტამენტმა კომისია დანიშნა, ნაღმოსნები ჩაიბარეთო.

◆ ამ ახლო ხანში რუსეთში **ახალი მობილიზაცია მოხდება.** განზრახვა აქვთ 120 ათასი კაცი კიდევ მიაშველონ ლინევიჩს (რ. ს.).

◆ სამხედრო სამინისტრო თხოულობს, ჩქარა გაიყვანეთ ციმბირში რკინის გზის მეორე ლიანდაგიო. მაგრამ, როგორც ამბობენ, **რკინის გზას წრეულ უფულობისა გამო ვერ გაიყვანენ** (რ.).

◆ რიგაში ერთ მუშას პოლიცია მიუყვანია ქარხანაში და უჩვენებია ის ადგილი, სადაც მრავალი **იარაღი და ყუმბარა ყოფილა ჩაფლული.** მუშა თურმე თვითონ ეკუთვნოდა იმ წრეს, რომელიც ყუმბარებს ამზადებდა. დაპატიმრებულია 1 ინჟენერი და 16 მუშა (რ. ს.).

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. ვინ არ იცის, ან ვის არ გაუგონია მაინც, თუ რა გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან სხვადასხვა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურენი. სანამ მათ ჯანი ნებას აძლევს და დილიდან საღამომდის მუშაობა შეუძლიათ, ასე თუ ისე, შოულობენ დღიურ ლუკმას; მაგრამ, თუ ჯანმა უსუსტათ, ან რამე მიზეზის გამო სამსახურიდან დაითხოვეს, ან კიდევ დაავათმყოფდნენ,—მაშინ მათი უნუგეშო მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი ხდება. ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს ქუთათურმა ნოქრებმა და შეუდგნენ ზრუნვას თავისს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით მათ დაარსეს, ეგრეთ წოდებული, ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათ მოსამსახურეების მაურთიერთო დამხმარე საზოგადოება“. საზოგადოების მიზანია მეტად სიმპატიურია. საზოგადოებას აქვს მთავრობისაგან დამტკიცებული წე-დება, ძირითადი თანხა, წიგნთ-საცავი და სხ. 22 მაისს ხსენებულ საზოგადოების სასარგებლოდ, ქ-ნ მ. ს. ჭილაძის თაოსნობითა ღ ბ ნ თუთბერიძის გამგეობით, ადგილობრივ ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა და სცენის მოყვარულთა მიერ წარმოდგენილ იქმნა ახალი პიესა „მეზობლები“, ოთხ-მოქმედებიანი დრამა ბ-ნ რამიშვილისა. მე აქ არ შევუდგები პიესის შინაარსის გადმოცემას, რადგან ეს პიესა შარშან „ივერიის“ ნომრებში იბეჭდებოდა და მკითხველები, უთუოდ, იცნობენ; მხოლოდ ორიოდე სიტყვით აღვნიშნავ, რომ პიესა ვერ აკმაყოფილებს დრამატიულ ნაწარმოების საზოგადო მოთხოვნილებას. ავტორს, ეტყობა, ძლიერ აინტერესებს თანამედროვე კითხვები, ძლიერ უკვირდება ჩვენს ცხოვრებას და ცდილობს დაგვისურათოს ამ ბოლო დროს მაინც მეტად გამწვავებული დამოკიდებულება თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის, რომელიც გამოიწვია აგრარულმა მოუწყობლობამ და, საზოგადოდ, გლეხთა ეკონომიურმა დაქვეითებამ. თუმცა რამდენიმე სურათი ავტორს კარგად აქვს ამოღებული ჩვენი ცხოვრებიდან, როგორიცაა, მაგალითად, პროპაგანდისტ სტუდენტის მოკვლა, ბატონისა და მის მოურავის-მიერ მიღებული მკაცრი ზომები გლეხების დასაწყნარებლად, უკანასკნელთაგან მებატონის ტყის გაჩეხვა, მამულების მითვისება, მოურავის დაჭრა-მიბეგვა და სხ.,—მაგრამ საზოგადოდ კი აკლია მას დრამატიულ ნაწარმოებისათვის საჭირო მხატვრული შემოქმედებითი ნიჭი, რის გამოც პიესა ძალდატანებული, სასცენო სიცოცხლეს მოკლებული გამოდის, მაყურებლის გულს ღრმად ვერ სწვდება და დიდს შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პიესაში სრულიად მეტხორცადაა ჩაკვეტებული მებატონის-მიერ მოღალატე ცოლის მოკვლა.

წარმოდგენის მხრივ პიესას არა უშავდა-რა. სცენის მოყვარეთაგან ყურადღება მიიქცია ქ-ნმა მ. ვ. ჩიკვაიძისამ, რომელიც ასრულებდა მოკლულ სტუდენტის დედის როლს. მეტად გრძნობიერად თამაშობდა ის განსაკუთრებით მეორე მოქმედებაში, სადაც გულ-დათუთქული დედა გამოიტანს მოკლულ შვილის ტანისამოსს და ზედ დაჰქვითინებს. მისმა ხელოვნურმა ტირილმა საზოგადოებასაც გული აუჩუყა და თვალებზე ცრემლები მოჰგვარა.

დასასრულ, წარმოადგინეს ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „სუსტი მხარე“, თარგმანი დ. მესხისა, რომელმაც საზოგადოდ მხიარულად ჩაიარა. თეატრი სავსე იყო საზოგადოებით, ნამეტურ ვაჭრებით, რომელნიც, ეტყობათ, მზად არიან თავის ნოქრებს დახმარება გაუწიონ.

სამწუხაროდ, აქვე უნდა აღვნიშნოთ. რომ ქანდარაზე მეტად უწესოდ იქცევა ახალგაზდობა, რომელიც სრულიად პატივს არა სცემს არც სცენას, არც საზოგადოებას და არც თავის თავს. ლანძღვა-გინება, უშვერი სიტყვები, უადგილო ოხუნჯობა და შენიშვნები, სიცილ-ხარხარი, წარმოდგენის დროს თეატრში პაპიროსის წევა, ყვირილი, ხანდისხან ჩხუბი და სხვა ამგვარები,—აი, ყველაფერი ის, რაც საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევს და თეატრში სიარულს აძულებს. სხვას რომ ეპატიოს, მოწაფე ახალგაზდობას მაინც არ ეპატიება ასეთი საქციელი. ყურადღების მისაქცევია აგრეთვე თეატრის ელექტრონული განათება, რომელიც ხშირად ქრება და, როგორც მახიობთ, ისე სიზოგადოებას უხერხულს მდგომარეობაში აყენებს. საჭიროა, რომ წარმოდგენების დროს ორი-სამი ნავთის ლამფა სათადარიგოდ მუდამ ანთებული იყოს.

იხარა.

ღამის დეპეშები

რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან

28 მაისი.

პეტერბურგი. 26 მაისს შორეულ-აღმოსავლეთიდან ოფიციალური ცნობა არ მოსულა.

გუნჯულინი (საკ. კორ.). თუმცა იაპონელების მიერ ომესოს დაჭერას თავისთავად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ, როგორც ეტყობა, იაპონელებს უნდათ გზები შეისწავლონ რუსების სადგომებიდან აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთ-დასავლეთით. შესაძლოა, ჩქარა დაიწყონ ვლადივოსტოკის საწინააღმდეგო ოპერაციები. ძნელი საფიქრებელია, ვის გაუღიმებს გამარჯვების ბედი ხმელეთზე, მაგრამ ახლა კი იმისი თქმა შეიძლება, რომ საგარეო საქმეები ვერ დააბრკოლებს მოქმედებას და ახლო მომავალში დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

ტოკიო, 26 მაისი. იაპონელებმა გარეკეს რუსთა მცირე რაზმი ტუმიაოძისთან.

კოლომბო. მოვიდა ამერიკის გემი ,,გარონა'', რომელსაც ოდესას მოჰყავს 500 რუსი. კაპიტანმა უარი განაცხადა გზის განგრძობაზე, რადგან რუსებმა ,,ბუნტის'' მოხდენა სცადეს. გემზე 15 ამერიკელიცაა. მეზღვაურნი ჩინელნი არიან. რუსი ,,ბუნტოვშჩიკები'' კაპიტანმა თოკებით შეჰბოჭა. სინგაპურს რომ მიუახლოვდა გემი, რუსები შეეცადნენ შებოჭილ ამხანაგების განთავისუფლებას. კაპიტანმა რევოლვერი ისროლა, მაგრამ ააცდინა. რუსები ემუქრებოდნენ კაპიტანს, გემიდან ზღვაში გადაგიძახებთო, და რის ვაი-ვაგლახის შემდეგ ძლივს დაამშვიდეს. კაპიტანმა ეს ამბავი გამოუცხადა რუსეთის კონსულს.

ტოკიო, 25 მაისი. იაპონელთა კრეისერის ,,ნისსინის'' აფიცრის სიტყვით, ტოგოს ესკადრამ სროლა დაუწყო რუსის გემებს 8900 მეტრის სიშორიდან და თანდათან მიუახლოვდა 3000 მეტრზე. ბრძოლა დაიწყო ოკინოშიმასთან და გაგრძელდა უძ რიტაუს ჩრდილოეთად 20 მილის მანძილზე. ფიქრობენ, ,,ალექსანდრე III''-ს მინაგვარი გემები მაგარ ჯავშნით იყო მოცული, მაგრამ იაპონელების თორმეტ და რვადუიმიანმა ყუმბარებმა მაინც დაღუპეს „ალექსანდრე III“-ცა და კიდევ სხვა გემიც, მგონი, „ბოროდინო“. რუსები ვერ ისროდნენ რიგიანად: იმათი ყუმბარები იაპონელების გემების იალქნებსა და საბოლეებსა ჰკვებოდა. როჟესტვენსკიმ ვერ მიუახლოვა თავისი ესკადრა იაპონელებისას, რადგან იაპონელები მიზანში სწორედ ესროდნენ. რუსების კონტრ-ნაღმოსნები არც-კი სცდილობდნენ იერიში მიეტანათ. „ალექსანდრე III“-ის მინაგვარ გემებზე ჯავშანი სულ შელეწეს. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ შიმოზა ძლიერი ასაფეთქებელი ნივთიერება ყოფილა. რუსების ყველა გემებზე სანაღმო ხარბაზნები იყო, მაგრამ რუსებს არც ერთი ნაღმიანი ყუმბარა არ გაუსროლიათ. იაპონელების ნაღმიანი ყუმბარები 500—600 მეტრის სიშორეზე მიცურავდა და მომეტებული ნაწილი მიზანს ხვდებოდა.

პეტერბურგი, 26 მაისი. უმაღლესი დეპეშა. 1) ტოკიო, გენერალ ადიუტანტ როჟესტვენსკის. გულითადს მადლობას გიცხადებთ თქვენც და ყველა იმ მეომართ, ვინც პატიოსნად აღასრულა თავისი მოვალეობა ბრძოლაში, თავგანწირულის სამსახურისთვის რუსეთისა და ჩემს წინაშე. განგებითა ღვთისითა გამარჯვებით არ დაგვირგვინდა თქვენი ღვაწლი, მაგრამ თქვენი უებრო მამაცობა სასიქადულოდ და საამაყოდ დარჩება თქვენს სამშობლოს. ,,ნიკოლოზი''. 2) „მახილა. კონტრ-ადმირალ ენკვისტს. გულითად მადლობას ვუცხადებ ,,ოლეგის'', ,,ავრორას'' და ,,ჟემჩუგის'' უფროსებს, აფიცრებს და მეზღვაურთ, მათის განუსაზღვრელ და ღირსეულ გარჯილობისათვის ამ სამძიმო ბრძოლის დროს. მანუგეშებლად თქვენდა იყოს ის შეგნება, რომ თქვენ პირნათლად აღასრულეთ თქვენი წმინდა მოვალეობა. ,,ნიკოლოზი''. 3) ,,ვლადივოსტოკი, ,,ალმაზის'' უფროსს ფლიგელ-ადიუტანტ ჩაჰინს. ,,სულით და გულით გმადლობთ თქვენ და გავალებთ ჩემი მადლობა გარდასცეთ აგრეთვე ,,იზუმრუდი''-სა, ,,ალმაზ''-ისა, ,,გროზნი''-სა და ,,ბრავის'' უფროსებსა, აფიცრებს და მეზღვაურთ, იმ თავგანწირულ მძიმე ღვაწლისთვის, რაც ჩვენდა საუბედუროდ ომში გამოიჩინეს. დეე, თქვენდა მანუგეშებლად თქვენი მოვალეობის პირნათლად აღსრულების შედეგი იყოს იმ სამძიმო განსაცდელში, რაც თავს დაატყდა ჩვენს სამშობლოს. ,,ნიკოლოზი''.

ვაშინგტონი, 26 მაისი („მორნინგ პოსტი“). იაპონია უარს აცხადებს ზავის პირობების განხილვაზე, ვიდრე რწმუნებულთა თათბირი არ მოხდება. პრეზიდენტი იმედოვნებს საქმის მოგვარებას. 30 მაისს მოელიან ოფიციალურს განცხადებას ვაშინგტონისას.

ვაშინგტონი, 26 მაისი საფრანგეთის ელჩი პრეზიდენტს ეთათბირა. შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტის მდივანი დაიბარა, რომელმაც გადასცა პრეზიდენტს დეპეშები ლონდონიდან და პეტერბურგიდან მიღებული. ამერიკელთა საელჩოებისა. დეპეშების შინაარსი არ იციან. ხმა დადის, ზავი მოხერხდებაო. დიდი სახელმწიფოები მხარს აძლევენ პრეზიდენტის მეცადინეობას.

პეტერბურგი. სამხედრო მინისტრის განკარგულებაში დანიშნეს ქუთაისის გუბერნატორი სტაგინი.

სტოკჰოლმი, 26 მაისი. სტორტინგის პრეზიდენტი ვერნერა, სტორტინგის მინდობილობით, მეფესთან შუამდგომლობდა, რომ მიეღო დეპუტაცია, რომელიც სტორტინგის ადრეს გარდასცემდა. მეფემ დეპეშით აცნობა ვერნერს: ,,არაფრად ვაგდებ სარევოლუციო მოძრაობას, რომელიც კონსტიტუციას არღვევს და მეფის ღირსებას ამცირებსო; ამიტომ უარს ვაცხადებ დეპუტაციის მიღებაზეო''.

ერევანი, 23 მაისი. ბაზარში სამს ალაგას იყო სროლა. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. 24 მაისის მოპირისპირეთ სროლა განაახლეს. შედეგი ჯერ არ იციან. ღამითაც ისმოდა სროლა. დღეს მაღაზიები დაკეტილია.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,85
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,67½
ბირჟის დისკონტი	5½—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	83¾
4⁰⁰-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სააღ.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	376
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	286½
5% გირ. ფურც. სახ. სააღ.-მამ. ბანკ.	254½
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. სახ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. სააღ.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	191¼
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ. 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტ ფ ი ლ ი ს შ ი:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

კანტორა

„კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საზოგადოებისა“ იმყოფება ქ. ტფილისში, ტურგენევის ქუჩაზე, № 11, და ღიაა დილის 9 საათიდან 11 საათამდის. (10—უ—7)

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“
პირველ იენისიდან გადადის მიხეილის ქუჩაზე, № 97.

საჭირო და ყოველთვის სახმარებელი
უცხო სიტყვათა ლექსიკონი,
შედგ. ი. იმედაშვილის-მიერ. ფ. უყდოთ 1 მ. ყდით 1—50.
Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 27 мая 1905 г
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.